844/2 N13 002
39
საქართველოს ... ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 20 (1036) | ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ცივი ომის დამთავრების შემდგომი ხანა: ახალი რეალიები!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის—სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ლონდონის საერთაშორისო ურთიერთობის სამეფო ინსტიტუტში 1995 წლის 16 თებერვალს

ქალბატონებო და ბატონებო!

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ერთხელ ამ ქალაქში თეატრში არ შემიშვეს. მიზეზი უბრალო იყო: დემონსტრანტების ჯგუფმა არ დაიჯერა მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მიზანსწრაფვის გულწრფელობა. ლონდონის პოლიციამ კი მოინდომა, მაგრამ მე რატომღაც სურვილი გამიქრა და თეატრში შესვლაზე ჩემი ნებით ავიღე ხელი...

საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის სწორია, მაშინაც კი, როცა იგი მოვლენებს ჩამორჩება.

კარგი სპექტაკლი ლონდონში არცთუ ცუდი ჯილდო იქნებოდა პოლიტბიუროს წევრისთვის, რომელმაც კიდეც თქვა და კიდეც განუდგა „ბრეჟნევის დოქტრინას", რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ავღანეთიდან, ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზაცია, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გლობალური კონფრონტაციის დაძლევა. საზოგადოებრივი აზრი დიდი შორსმჭვრეტელობით არ გამოირჩევა, თუმცა, მაშინაც კი გარდაქმნის პოლიტიკაში აშკარად შეიძლებოდა მომავალი ეპოქალური ცვლილებების ჩანასახის დანახვა.

იმ დღეს ნამდვილად დავიმსახურე ლონდონის თეატრის ბილეთი. საზოგადოებრივი აზრი ვალში დამრჩა.

ვშიშობ, ანალოგიური ანგარიშის წარდგენა დღესაც შეიძლება დემოკრატიული მსოფლიოს სტრატეგებისთვის, რადგანაც მათი აზროვნება საზოგადოებრივ აზრზე უფრო მეტად აღმოჩნდა მოკლებული უნარს, განეჭვრიტა ბიპოლარული მსოფლიოსა და მისი მსხვრევის შედეგები: აღმოსავლეთ ევროპაში ხავერდოვანი და არც მთლად ხავერდოვანი რევოლუციები, გერმანიის გაერთიანება, ევროპის გათიშულობის დაძლევა, საბჭოთა კავშირის დაშლა, და ბოლოს, ახალ საშიშროებათა აღმოცენებაც კი, რომლებიც პოტენციურად არანაკლებ დამანგრეველია, ვიდრე ისინი, რომელთა თავიდან აცილებაც ჩვენ შევძელით.

დარწმუნებული ვარ, მკითხავენ, რას ფიქრობთ „ცივი ომის" დამთავრებაზეო. ვიდრე კითხვას ვუპასუხებდე, ჯერ მინდა დავსვა შეკითხვა: რატომ აღმოჩნდა მსოფლიო აზროვნება მსოფლიო თანამეგობრობის, პირველ რიგში კი დასავლეთის მოწინავე ქვეყნების სახით ესოდენ უძლური მსოფლიოს სწრაფი, საბოლოოდ კი უმართავი ტრანსფორმაციის წინაშე?

1991 წელს ჰენრი კისინჯერმა პირად საუბარში მითხრა — შვიდი ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ნომერ პირველ მტრად გვესახებოდა, დამეთანხმეთ, რომ ყველა საფუძველი გვქონდა, გვშინებოდა საბჭოთა მუქარისა, მაგრამ ახლა, როცა იგი აშკარად მიდის სცენიდან — არც კმაყოფილებას განვიცდით და არც სიხარულს. დიახ, მიზნები, რომლებსაც ვისახავდით, მიღწეულია, მაგრამ ჩვენ მიერვე დაგებულ მახეში გავებით და აღმოვჩნდით იმ სამყაროში, რომლისთვისაც არ ვიყავით მზად.

ეს განგაშის სიგნალი იყო, მაგრამ იგი ძალიან გვიან ჩაირთო. ერთობ ძლიერი იყო იმ გამარჯვებით თრობა, რომელსაც, როგორც დასავლეთში თვლიდნენ, „ცივ ომში" მიაღწიეს. თუმცაღა, თუკი ეს მართლაც გამარჯვება იყო, ეს იყო უდავოდ პიროსის გამარჯვება. ხოლო რაც შეეხება ჩემს აზრს, მთლად დარწმუნებული არა ვარ, რომ „ცივი ომი" შეიძლება საბოლოოდ დასრულებულად ჩაითვალოს.

და თუ იგი მართლა დამთავრდა, მაშინ მით უმეტეს უნდა დავფიქრებულიყავით ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე. ახლა კი ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საუკუნის ამ ყველაზე ხანგრძლივმა ომმა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, არ გვიბიძგა ჩვენი შორეული წინაპრების გამოცდილებისა და მაგალითისათვის მიგვემართა.

ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერთა „დიდ სამეულს" ერთმანეთს აშორებდა თითქმის გადაულახავი წინააღმდეგობები, მაგრამ მათ შეძლეს ამ წინააღმდეგობებზე მაღლა დამდგარიყვნენ არა მარტო ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების ორგანიზაციის პროცესში, არამედ მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის ეტაპზეც. როგორადაც უნდა მივიჩნიოთ მათი გადაწყვეტილება, ომის დამთავრებამ და მშვიდობამ მოუმზადებლებს არ წაუსწროთ. ისინი მზად იყვნენ ამისათვის, პირველ რიგში ისეთი აზროვნებისა და მოქმედებისათვის, რომლებიც საუკეთესოდ ჩამოაყალიბა უინსტონ ჩერჩილმა, როცა მოინდომა დაენახა მსოფლიო თანამეგობრობაში ქმედითი ძალა და არა მირაჟი. დასავლელი მოკავშირეები მზად აღმოჩნდნენ დემოკრატიისთვის ბევრი გაეღოთ. ეს „მარშალის გეგმამ" დაადასტურა, რომელმაც არა მარტო ნანგრევებიდან აღადგინა დასავლეთ ევროპა, არამედ შეუნარჩუნა მის ხალხებს სივრცე თავისუფალი განვითარებისთვის.

მიზნებითა და მასშტაბით არაფერი მსგავსი არ გაკეთებულა საიმისოდ, რომ განეჭვრიტათ გამარჯვება „ცივ ომზე", ტოტალიტარიზმის ბატონობისაგან რომ გაათავისუფლა ხალხები. თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების სადარა მოვლენამ ვერ პოვა ასახვა პოსტკონფრონტაციული მსოფლიოს პირობებში მსოფლიო გაერთიანების ადეკვატური მოქმედების სტრატეგიაში. გლობალური დაპირისპირების დამთავრებაზე კოლოსალური თანხები რომ დაზოგა, ცივილიზებულმა სამყარომ ვერ გაიმეტა საჭირო ინვესტიციები რუსეთსა და სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდასაჭერად. როგორც ერთმა რუსმა დემოკრატმა აღნიშნა, იმძლავრა კონკურენტის დამარცხებით გამოწვეულმა სიხარულით გადარეული დაბლიდარის ფსიქოლოგიამ. ბიპოლარული მსოფლიოსა და ტოტალიტარული რეჟიმების მსხვრევით, ხავერდოვანი რევოლუციებისა და ბერლინის კედლის დანგრევით გამოწვეული ეიფორია უფრო ძლიერი აღმოჩნდა უშიშროების იმ მოდუნებულ ინსტინქტებზე და ხალ მოსაზრებებზე, რომლებიც მოითხოვენ საზღაურს მშვიდობისათვის, რათა იგი არ გადაიქცეს თავის საპირისპირო მოვლენად. შედეგად ცივილიზებულმა სამყარომ ვერ შეძლო განეხორციელებინა ძალების გლობალური მობილიზაცია ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად; მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლელი მოკავშირეებისაგან განსხვავებით, ვერ შეძლო ვიწროეროვნულ ეგოისტურ ინტერესებზე მაღლა დადგომა.

ამის შედეგად მსოფლიომ მიიღო ომი ყოფილ იუგოსლავიაში და მოვლენათა საშიში განვითარება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში — ყოფილ საბჭოთა კავშირში. ახალი საფრთხის წარმოშობა, რომლის საერთო დესტრუქციული ძალა სავსებით შეიძლება შევუდაროთ ბირთვულ არმაგედონს, რომლის საშიშროებაც, ბარემ ამასაც ვიტყვი, სულაც არ ჩაბარებია წარსულს.

შედეგად მივიღეთ დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა არა მსოფლიო, როგორც ნავარაუდევი იყო, გამარჯვება, არამედ ცალკეულ ქვეყნებში და ქვეყნების შიგნით წვრილი ნაციონალისტური დიქტატურების თარეში, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ პატარა ხალხების ეთნიკური დაჩაგრულობის კომპლექსს. აქ მაგალითად გამოდგებოდა ისეთი პროფაშისტური რეჟიმები, როგორიც იყო გამსახურდიასი, როგორებიც არის — არძინბასი, რომლის სინდისზეც ქართველთა ეთნოწმენდა და გენოციდია, დუდაევისა და მრავალი სხვა.

ამის შედეგად იქმნება ტოტალიტარიზმის რევანშის სავსებით რეალური საფრთხე, ტოტალიტარიზმისა, რომელიც მზად არის გამართოს ბრძოლა და მოიპოვოს გამარჯვება სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც მან, როგორც გულუბრყვილოდ ფიქრობენ დასავლეთში, საბოლოოდ განიცადა მარცხი.

ამის შედეგად დედამიწაზე ღრმავდება უფსკრული სიმდიდრესა და სიღატაკეს, აყვავებასა და დეპრესიას შორის; დაიხსა ზოგიერთების ეკონომიკის პროგრესი, ზოგიერთებისა კი რეგრესი — უფსკრული, რომელმაც შეიძლება შთანთქას როგორც ერთი — აყვავებული, ისე მეორე, გაღატაკებული სამყარო.

ამ აშკარად პიროსის, აშკარად მოჩვენებითი გამარჯვების შედეგებს მივაკუთვნებდი, აგრეთვე, ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ნამდვილ კრიზისს, რომელიც სხვა შემთხვევებში წარმოგვიდგება როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის მთავარი იდეების კრახი.

თქვენ არ დაგიმსახურებიათ თქვენი ბილეთი თეატრში! — შეიძლება მითხრან, რადგან მთელი თქვენი საქმიანობა სწორედ ასეთ შედეგებს ისახავდა მიზნად, ამასთან გლობალურ და საერთაშორისო საფრთხესთან ერთად თქვენი ქვეყნის ტრაგიკულ გამოცდილებასაც ვხედავთ.

ნამდვილად, ვუპასუხებ მე: საქართველოს დანაწევრებაც, აფხაზეთში ჩემი თანამემამულეების ეთნიკური წმენდაც, ასიათასობით თანამოქალაქის განდევნა მშობლიური ადგილებიდან, მოვლენათა განუჭვრეტელობისა და გაუთვალისწინებლობის გამო, ხელოვნურად მოგონილი სასჯელის ყველაზე დამაჯერებელი დასაბუთებაა. უბედურება კი ის არის, რომ ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის შესაძლებელი სწრაფი ცვლილებების ჩემმა და არა მხოლოდ ჩემმა ხედვამ შესაბამისი გამოძახილი ვერ პოვა ვერც ამა ქვეყნის ძლიერთა და ვერც საერთაშორისო ორგანიზაციათა მხრიდან.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკის ბრწყინვალებასა და უსუსურობას შორის თანაფარდობა სულაც არ იცვლება ამ პირველის სასარგებლოდ. ჩვენ აშკარად გვაკლია ხარისხოვანი საზრი მაღალი ახალი დროის ისეთი ინსტიტუტების შესაქმნელად, რომლებიც ადეკვატურ პასუხს გასცემენ თანამედროვეობის გლობალურ მოთხოვნებს.

დისკუსიები ამ თემაზე ჰიანურდება ნახევარი საუკუნის წინანდელ დისკუსიებთან შედარებით, როგორც, მაგალითად, იალტაში, სადაც სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა განსაკუთრებულ სტატუსს ზესახელმწიფოებისათვის, ხოლო ჩერჩილი, იცავდა რა პატარა ქვეყნებს, ასე გამოხატავდა თავის მოსაზრებას: არწივმა ხელი არ უნდა შეუშალოს ჩიტუნებს იჭიკჭიკონ და არც უნდა წუხდეს იმაზე, რომ ისინი მღერიან.

ჩემთვის უცხოა სტალინური ორნითოლოგიისადმი ნოსტალგია, არ ვეთანხმები ჩემს თანამემამულეს და სოლიდარობას ვუცხადებ თქვენსას. მით უმეტეს, რომ სწორედ იმ პატარა ქვეყანას წარმოვადგენ, რომელსაც წარსულშიც და შემდეგაც კორტნიდა ორთავიანი არწივი. მაგრამ დღეს მხოლოდ ჩვენ როდი გვემუქრებიან, და არა მარტო დიდი მტაცებელი ფრინველები, პატარა ფრთოსნებიც ერთიანდებიან დიდ გუნდებად და გვიტევენ ალფრედ ჰიჩკოკის ფრინველთა სისასტიკით.

ეზოპეს თუ არ მოვიშველიებთ და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, მაშინ ბიპოლარული მსოფლიოს ნგრევის პირობებში ჩვენ საქმე გვაქვს ახალი თაობის არატრადიციულ აგრესიასთან და კონფლიქტებთან, რომლებშიც აგრესიული საწყისი მაინცდამაინც „ძლიერისა" და „სუსტის" სახით აღარ გვევლინება. ახლა, დიდი თუ პატარა სახელმწიფოების დაშლისა და დაქუცმაცების პერიოდში, დამანგრეველი პროცესების ინსპირირება უმცირესობათა აგრესიული აქტიურობის მეშვეობით ხდება. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების წმინდა დროშებით ხდება მასობრივი მოსპობის საშუალებათა ხელში ჩაგდება და გამოყენება, მყარდება ეთნოდიქტატურები, რომლებიც შემდგომ სპობენ და დევნიან „მტრულ ეთნოსს", იტაცებენ და ინაწილებენ მის საკუთრებას. ასეთი აგრესია და კონფლიქტები მაგნიტივით იზიდავენ სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვან დაჯგუფებებსა და მოხალისეებს პოლიტიკური, ეთნიკური თუ კონფესიონალური ნიშნით. „სუსტთა ფენომენალური ძალა" ვლინდება დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შანტაჟითა და მათთვის „თამაშის თავიანთი წესების" თავსმოხვევით. ეთნოპოლიტიკური უკმაყოფილებისა და მოთხოვნების საფარქვეშ, როგორც წესი, კრიმინალურ-პრაგმატული ინტერესები იმალება, ყალიბდება იარაღით, მძევლებით მოვაჭრეთა განშტოებული ერთაშორისი და საერთაშორისო კარტელები, ხდება პოლიტიკის კრიმინალიზაცია და დამნაშავე სამყაროს პოლიტიზაცია.

ემუქრებიან რა იმ ქვეყნების მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას, სადაც ჩნდება ახალი აგრესია და კონფლიქტები, ისინი, ამავე დროს იმ სახელმწიფოების სტაბილურობასაც უქმნიან საგრძნობ საფრთხეს, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად ცდილობენ გამოიყენონ ისინი ექსპანსიისა და „ცივი ომის" შემდეგ დაკარგული გავლენის სფეროების აღსადგენად.

ეს ყველაფერი საკმაოდ აბსტრაქტულად ჟღერს, ვიდრე შენი თვალით არ ნახავ იმას, რაც მე ვნახე, არ ნახავ ერთი წლის ბავშვს, რომელსაც ცოცხლად გააძვრეს ტყავი, არ ნახავ მთის უღელტეხილებზე ლტოლვილთა გაყინულ სხეულებს... ეს აფხაზეთის სურათებია. გაშმაგებული აგრესიული სეპარატიზმის ეს კოშმარი და საშინელება ჰიტლერელთა მხეცობასა და ბარბაროსობას არ ჩამოუვარდება.

მაშინ შენ თავს ეუბნები: თუ დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლების მოპოვებისათვის საზღაური ეს არის, მაშინ იგი ადამიანის აზროვნების ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მაშინ იფიქრებ, რომ ან ეს უფლებებია აბსურდული, ან ჩვენი წარმოდგენა მათზე.

თუ თქვენ თვალწინ საუკუნის დამლევს დიდი და პატარა ფიგურები ურცხვად და თავხედურად იყენებენ თავიანთი ინტერესე-

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: საქართველოს რესპუბლიკასა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს შორის ხელშეკრულების დადების დროს.
სერგო ედიშერაშვილის (საქინფორმი) ფოტო.

დიდ ბრიტანეთთან ახალი ურთიერთობის დაწყება ისტორიული მოვლენაა

— არ მინდა ტრადიციას ვუღალატო, მით უფრო ისეთი პასუხსაგები მისიის შემდეგ, როგორიც იყო ამ დღეებში დიდ ბრიტანეთში ვიზიტი, — განაცხადა 18 თებერვალს პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. — ყოველთვის ვცდილობ, თვითმფრინავშივე მოვუყარო თავი იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ ჩემს მისიასთან. გუშინაც ბრიუსელიდან თბილისში ჩამოსვლამდე ზოგიერთი ჩანაწერი გავაკეთე და მინდა ჩვენს საზოგადოებას მივაწოდო უფრო დიდი მასშტაბის ინფორმაცია, ვიდრე ცალკეული დოკუმენტი ან მისი შინაარსია.

მოხდა ისე, რომ საერთაშორისო იზოლაციის ეტაპის დამთავრების შემდეგ, რომელშიც ქვეყანა წინა რეჟიმის მესვეურებმა შეიყვანეს, ჩვენ ძალიან დიდი, გიგანტური სამუშაო შევასრულეთ არა მარტო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების, არამედ ინტენსიური თანამშრომლობის დაწყებისა და პარტნიორობის თვალსაზრისით. მათ შორის, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებთან, დიდი ბრიტანეთის გარდა. ამ ქვეყნის მთავრობა პრემიერ-მინისტრ ჯონ მეიჯორის მეთაურობით აქტიურად გვიჭერდა მხარს საერთაშორისო ფორუმებზე, უშიშროების საბჭოში, ევროპულ სტრუქტურებში, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და, ბუნებრივია, მოვიდა დრო საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის კავშირები მყარ სამართლებრივ ბაზაზე შენდებოდეს. ბუდაპეშტის სამიტზე შეხვედრისას ჯონ მეიჯორმა დაადასტურა ადრეც არაერთგზის გამოთქმული სურვილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ოფიციალურ ვიზიტად სწვევოდა ლონდონს, და ამ დღეებში ასეთი ვიზიტი გაიმართა.

ვიზიტის უმთავრესი შედეგი გახლავთ ხელმოწერილი ორი დოკუმენტი: დეკლარაცია—მასში ჩამოყალიბებულია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უნდა აშენდეს და განვითარდეს; და ინვესტიციების დაცვისა და ურთიერთწახალისების ხელშეკრულება. მეორე დოკუმენტი (მართალია, იგი პროზაული ჟღერადობისაა), განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი გზას უხსნის მძლავრ ბრიტანულ კაპიტალს საქართველოში, და, საერთოდ, კავკასიაში.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჯონ მეიჯორის პორტრეტთან დაკავშირებით. იგი უაღრესად ერუდირებული, უმაღლესი კულტურის, საოცრად კომუნიკაბელური, თავმდაბალი, თანდაყოლილი, მეგობრული სითბოთი აღსავსე მოღვაწე. ამასთან, იგი უაღრესად მტკიცე და შეურიგებელია, როცა პრინციპული პოზიციების დაცვაზეა ლაპარაკი — ეს ნათლად ჩანს პარლამენტთან ურთიერთობაში.

პრესკონფერენცია

საერთოდ, პოლიტიკოსთა ბრიტანული სკოლა ორიგინალურია, განუმეორებელია თავისი დახვეწილობით, დისკუსიის შესაშური კულტურითა და საოცარი გონებამახვილობით გამორჩეული. ასეთია ქალბატონი მარგარეტ ტეტჩერი, (რომელიც ახლა ლონდონში არ იყო), ასეთია ჩემი ძველი მეგობარი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეფრი ჰაუ, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე ჩამოსცილდა აქტიურ პოლიტიკას (იგი მონაწილეობდა ოფიციალურ მიღებაში, ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტასთან ჩემს შეხვედრას უძღვებოდა), ასეთია დუგლას ჰერდი თანამეგობრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტიკოსი, პოლემისტი, კარგი მწერალი, მრავალი სხვა, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ და არ ვიცნობთ. ეს მოგახსენეთ, დღევანდელ მოღვაწეებზე და თუ ისტორიაზე ვილაპარაკებთ, რად ღირს მარტო უნიკალური ჩერჩილი და არა მარტო იგი.

საერთოდ ჩვენ უნდა შევქმნათ წარსულისა და თანამედროვეობის პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები ფართო გაგებით, ეს მთელი სიმდიდრეა. ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს ის, რაც აუცილებელია მათთვის და ქვეყნისათვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის, რომელიც ახლა შენდება, როგორც დემოკრატიული სამყაროს შემადგენელი ნაწილი.

ჩემმა საუბრებმა ჯონ მეიჯორთან, სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან დაადასტურა თანამედროვეობის გლობალურ და ლოკალურ პრობლემებზე შეხედულებათა თანხვედრა და ინტერესთა ერთიანობა.

ლონდონში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს ჩვენთან მიმდინარე რეფორმების, დემოკრატიული მშენებლობის, კონფლიქტების მოგვარების პრობლემებისადმი და მტკიცე თანაგრძნობა და მხარდაჭერა აღგვითქვეს. დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებისათვის, ისევე, როგორც ინგლისის საზოგადოებრიობისათვის, უაღრესად საინტერესო იყო ჩვენი შეხედულებები თანამეგობრობაზე, რუსეთზე, კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, ჩეჩნეთთან დაკავშირებულ მოვლენებზე, მათ შესაძლო შედეგებზე.

ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია, რომ საქართველო, რომელმაც ამ ბოლო წლებში ბევრი რამ განიცადა და გადაიტანა, სწრაფად შევიდა ევროპულ თუ მსოფლიო თანამეგობრობაში და და-

(დასასრული მე-2 გვ.)

„მსოფლიო, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგრესიული ხდება სეპარატიზმის მიმართ, რამდენადაც იგი ემუქრება ყველა ქვეყნის კეთილდღეობას"

სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტის შეჯამებით დაიწყო.

— გასულ კვირას შემდგარ სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტს დიდ ბრიტანეთში პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის, მსოფლიოს სამეურნეო კავშირებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისათვის. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მეგობრობისა და თანამშრომლობის დეკლარაციასთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმებას კაპიტალდაბანდებათა, ინვესტიციების დაცვის თაობაზე, იმავდროულად, ინგლისური და სხვა ქვეყნების კაპიტალისათვის.

ხელსაყრელ ინვესტიციურ ვითარებას შეუწყობენ ხელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, ინგლისის ბანკში, ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციაში გამართული შეხვედრები. დიდი ბრიტანეთის ვალდებულებაა განახორციელოს საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე გადასვლის დახმარების პროგრამა „ნოუ ჰაუს" ფონდის ხაზით. როგორც პრემიერმა განაცხადა, ეს დახმარება უახლოეს 2-3 წელიწადში გაორმაგდება და გასამკეცდება.

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის დახმარების პროგრამების რეალიზაციისათვის სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა ბრიუსელში ევროკავშირის ხელმძღვანელობასა და მთელ ამ სტრუქტურებთან, რომლებიც პრაქტიკულად ამზადებენ წინადადებებს ჰუმანიტარული დახმარებისა და კრედიტების გამოყოფის შესახებ.

ამასთან, გრძელდება ვაშინგტონში სახელმწიფოს მეთაურის მიერ დაწყებული დიალოგი და იქ მიღებულ შეთანხმებათა რეალიზაცია. ამ შეთანხმებათა მნიშვნელობის დამადასტურებელი, ჩვენში რეფორმატორული პროცესების საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი ეტაპია თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მოლაპარაკება მსოფლიოს ბანკის მიერ სარეაბილიტაციო კრედიტის გამოყოფის თაობაზე, რაც წინასწარი მონაცემებით წარმატებით დამთავრდა. ადრე განზრახული 60 მილიონი დოლარის ნაცვლად, შეიძლება 75 მილიონი დოლარი გამოიყოს.

ამ მოვლენებს, უწინარესად, პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ენერგეტიკული კრიზისის დაძლევისათვის. საანგარიშო კვირაში ამ სფეროში ვითარება კვლავ საკმაოდ რთული იყო. რესპუბლიკაში ელექტროენერგიის საშუალო სადღეღამისო მოხმარებამ 20 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ეს არცთუ ცოტაა, მაგრამ, ეტყობა მოხმარების თვალსაზრისით ბევრი რამ უნდა გადაიხედოს. მოხმარების ზრდა იფარებოდა აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის მოწოდებით და ჩვენი მეგობრები ამ მხრივ ხელს გვიწყობენ. გრძელდებოდა ელექტროენერგიის მოწოდება თურქეთიდან 100 მეგავატის ფარგლებში. უწინარესად, ამას მოიხმარს აჭარა. გახსოვთ, ბატონი დემირელის ვიზიტის დროს შევთანხმდით იმაზე, რომ საქართველო სწორედ ამ რაოდენობით მიიღებდა ელექტროენერგიას თურქეთიდან. სამწუხაროდ, ჩვენი ხაზები არ არის მზად თურქეთიდან მეტი ელექტროენერგიის მისაღებად, მაგრამ 100 მეგავატის ფარგლებში მიღება შესაძლებელია და ეს ხდება კიდეც. იმედი მაქვს, რომ ამით აჭარის მიმდებარე რაიონებიც უცილობლად ისარგებლებენ. ასევე ვღებულობთ ელექტროენერგიის გარკვეულ რაოდენობას რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარიდან. ესეც ძალიან სერიოზული დახმარებაა. რამდენადმე მოიმატა აგრეთვე თბილსრესისა და ენგურჰესის გამომუშავებამ. ამჟამად ელექტროსისტემას შესაძლებლობა აქვს განავითაროს სიმძლავრე 800 მეგავატის ოდენობით. ეს უკვე შედარებით ნორმალურია და იძლევა კარგ სტიმულს იმისათვის, რომ მრეწველობა ამოქმედდეს.

თბილსრესის ენერგობლოკების რემონტის დაჩქარება სავსებით შესაძლებელია, გერმანიისა და ევრობანკის საგანგებო დახმარებამ დაფინანსების პრობლემები მოგვიხსნა. კიდევ ერთხელ მინდა მადლობის სიტყვებით მივმართო გერმანიის მთავრობას და ასევე ევრობანკს, რომელმაც მოგვცა საშუალება გამოყოფილი 18 მილიონი დოლარიდან ნაწილი მოვახმაროთ ამ ბლოკების რემონტს.

კვლავ არასახარბიელოა საქენერგოს ფინანსური მდგომარეობა. თუ ეს არ გამოსწორდება, მაშინ ქვეყანა ენერგეტიკული კრიზისიდან ვერ გამოვა — ეს ყველამ უნდა გაიგოს. დებიტორულმა დავალიანებამ 98 ტრილიონ კუპონს გადააჭარბა. ეს ლამის ნახევარი ბიუჯეტია. მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული ზომები ვერავითარ შემთხვევაში ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა მთელი ამ საქმიანობის ძირეული გარდაქმნა. ბუნებრივ გაზზე დებიტორული დავალიანება შეადგენს 112 ტრილიონ კუპონს. ასე ცხოვრება ნამდვილად არ შეიძლება. ისევ და ისევ ეს მიიმართება მინისტრთა კაბინეტისაკენ, შესაბამისი სტრუქტურების, დეპარტამენტებისა და სხვებისაკენ მიდის, რომლებმაც უნდა მოიფიქრონ და იპოვონ გზები იმისათვის, რომ ამ უბედურებას, ასე ვიტყოდი, ბოლო მოეღოს.

ედუარდ შევარდნაძის 20 თებერვლის რადიოინტერვიუ

ქვეყნის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის პრობლემათა შორის წინა პლანზე იწევს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის საწვავის შემოზიდვა. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ახლა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს საგაზაფხულო სამუშაოების დაჩქარებული ტემპით განხორციელება, ამისათვის პირობების შექმნა. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების კოორდინაციას ახორციელებს ვიცე-პრემიერი ბაკურ გულუა, რომელმაც ამ პრობლემის მოგვარებას საქმის ცოდნით მოჰკიდა ხელი, ყველა მხარში უნდა ამოუდგეს მას და იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე.

მინდა გავაფრთხილო ყველა რაიონი და ქალაქი, ყველა რაიონის გამგებლები, მერები, მხარეებში ჩემი რწმუნებულები: თქვენ მიიღეთ ყველა საჭირო უფლება (თუ საჭიროა, მზად ვარ კიდევ განვიხილო ეს საკითხი და გავაფართოო უფლებები) იმისათვის, რომ მაქსიმალურად, ეფექტურად მართოთ რეგიონები. ეს, უპირველესად, საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით განხორციელებაში უნდა გამოიხატოს. უნდა შევეჩვიოთ იმაზე ფიქრს (და არა მარტო ფიქრს, ეს რეალობა იქნება), რომ უცხოური დახმარება არ შეიძლება იყოს უსასრულო, დაუსაბუთებელი და გაუთავებელი. ყველა რაიონმა და ქალაქმა საკუთარი სახსრებით პროგრამა უნდა შეადგინოს და იბრძოლოს მის შესასრულებლად. სხვა გამოსავალი არ არის. ასე უნდა ფიქრობდეს თითოეული მოქალაქე, ვისაც როგორ შეუძლია.

სანამ არის ამის საშუალება, სანამ მთლიანად არ დამთავრებულა მიწების პრივატიზაცია, ჩვენ მზადა ვართ დამატებით გამოვყოთ მიწის ნაკვეთები თბილისელებს, სხვა ქალაქების მცხოვრებთ. მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს იფიქროს, იზრუნოს იმისათვის, რომ მართლაც საკუთარი ბალანსი ჰქონდეს. ამით ჩვენი ცხოვრება შედარებით უფრო გაიოლდება.

ეკონომიკური დაქვეითების შეჩერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობასთან ერთად მრეწველობის გამაცოცხლებელ ღონისძიებათა განხორციელებას. უკვე ცნობილი სამუშაოები — შალის მრეწველობის საწარმოების ადგილობრივი გაურეცხავი მატყლით უზრუნველყოფის შესახებ — გრძელდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ ნელი ტემპით მუშაობენ თბილისისა და ბულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკები. ამ სამი ობიექტის ამუშავებაც დიდი საქმეა. მათ დღეისათვის შეისყიდეს 250 ტონამდე გაურეცხავი მატყლი. აქედან მაუდ-კამვოლის კომბინატს მიეწოდა 115 ტონა. მისი დამზადებული პროდუქციის საფუძველზე ამუშავდა შალის მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკები „ნინო", „ამირანი". მრეწველობის სამინისტროს ცნობით, მატყლის დამზადების კამპანიაში შედარებით აქტიურად მონაწილეობენ დედოფლისწყაროსა და დუშეთის გამგეობები, მადლობა მინდა გადავუხადო ამ რაიონების გამგებლებს, მთელ მოსახლეობას აქტიური მუშაობისათვის. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ყაზბეგის, ნინოწმინდის, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებზე. დაბრკოლებებია კახეთის ზოგიერთ სხვა რაიონში.

მოვითხოვ, რომ ამ წამოწყებისათვის პასუხისმგებელმა ბატონმა თემურ ბასილიამ, მინისტრმა კერესელიძემ, ყველა გამგებელმა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, დროული ანგარიშსწორება დამფინანსებელ-დამკრედიტებელ ბანკთან. სხვა შემთხვევაში ეს ღონისძიება ძალიან ძვირად დაუჯდება ბანკს, შეიძლება იგი გაკოტრებამდეც მიიყვანოს და სამომავლო საქმეებსაც დიდ ზიანს მიაყენებს. ეს ერთგვარი ექსპერიმენტია, რომლის საფუძველზე მომავალში უნდა ვიმუშაოთ გლეხობასთან და იგი მრეწველობას დავუკავშიროთ.

რაც შეეხება სხვა დარგებს, სამინისტროების ინფორმაციით, არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, რიგი საწარმოები თავს ართმევენ საწარმოო პროგრამებს. მაგალითად იანვარში თბილისის გამომთვლელი მანქანების ქარხანამ 6 მილიარდის ნაცვლად 21 მილიარდი კუპონის პროდუქცია გამოუშვა. უკვე გაჩნდა საიმედო ტენდენციები. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ცივი ომის დამთავრების შემდგომი ხანა: ახალი რეალიები!

(დასასრული)

ზისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, აწყობენ ეთნიკურ წმენდასა და დეპორტაციებს, ანგრევენ ქალაქებსა და მთელ ქვეყნებსაც კი, მაშინ როგორ შეუძლიათ ლიბერალებსა და დემოკრატებს, არ შეეწინააღმდეგონ მათ სისხლიან იდეებს?

თუ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ლიტონი სიტყვაა, მაშ რაღა ვუყოთ ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობას?

გნებავთ რუსეთის და გნებავთ დასავლეთის ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებრიობა არათუ ვალში აღმოჩნდა, არამედ მცდარი წარმოდგენების მონადაც კი იქცა, რომლებმაც აიძულა თვალი დახუჭოს „ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების" გმირების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე. უფრო მეტიც, გაამართლოს და დაიცვას ისინი, როგორც ამას პატივცემული ინგლისელი ავტორი პატივცემულ ინგლისურ გაზეთში აკეთებს, როცა კითხულობს: „არის თუ არა აფხაზეთი საქართველოს ნაწილი? თუ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრებმა კვლავაც უნდა ამტკიცონ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც ასე თქვა სტალინმა და მოსკოვი მას მერეც ამას იმეორებს"?

ძნელი წარმოსადგენია დაგლას ჰერდი სტალინის მემკვიდრედ. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია არ გაიღიმო, როცა წაიკითხავ, რომ არა ისტორიულად განუყოფელი ნაწილია აფხაზეთი საქართველოსი, არამედ მან, იოსებ სტალინმა, მოაქცია იგი მის ფარგლებში.

მესმის, რომ პოლიტიკური დეტექტივი და ჯაშუშური რომანი იწერება მკაცრი ინტელექტუალური სქემის მიხედვით, მაგრამ იგი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს, რომ გაუძლოს უმეცრების ან ვიღაცის მიერ თავსმოხვეული წარმოდგენების სიმძიმეს.

არ ვაპირებ ლექცია წავიკითხო ჩემი ქვეყნის სამიათასწლოვანი ისტორიის შესახებ. ინგლისში არიან მისი შესანიშნავი მცოდნეები, რომლებსაც ალბათ, შეუძლიათ ახსნან, რომ საქართველო თავისი ადგილმდებარეობითა და ისტორიით კავკასიის ყველაზე მგრძნობიარე სიმია. და თუ ვინმეს, — იტყოდნენ ისინი, — უნდოდა ან უნდა კავკასია თავის ჭკუაზე ატაროს, ამისათვის უნდა დაჭიმოს ან მოუშვას, ანდა საერთოდ გაწყვიტოს ეს სიმი — საქართველო, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ წარსულში და კვლავ გააკეთეს ცოტა ხნის წინათ, ის ეთნოსები რომ გამოიყენეს ამისათვის, რომლებთანაც ღმერთმა სამუდამოდ გადაგვჭედა.

თვითგამორკვევის იდეა არ უნდა იქცეს ნაჯახად საუკუნის დამლევის ახლად მოვლენილი მესიების ხელში, არც როზგად — მენტორ ლიბერალის ხელში. გაროზგვა თითქოსდა გაუქმდა, მაგრამ ასე ჯერ კიდევ ბევრი ქვეყანა ისჯება, და მას, ვინც ამას აკეთებს, აღარც კი ახსოვს, რომ დარაბებს მიღმა საუკუნის დასასრულია. დიახ, საუკუნე მთავრდება, საუკუნე ყველაზე დამანგრეველი მეტაიდეებისა და ზეიდეების, რომლებსაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ყოველთვის წინ აღუდგებოდა ხოლმე ჰუმანურ ღირებულებათა ფილოსოფია თავისი ცენტრალური ღირებულებით — ადამიანის სიცოცხლით. გამოდის, რომ ჩვენ მზად ვართ ესეც შევწიროთ მსხვერპლად ჩვენს წარმოდგენებსა და შეცდომებს, როგორც ამას ჩვენამდე აკეთებდნენ სხვადასხვა იდეოლოგების ფანატიკოსი მომხრეები. ვფიქრობ, ასე გამოდის, რომ მათი სახით იდეური მტერი რომ დაკარგა, დემოკრატიული შეგნება დაიბნა, ახალ პირობებში მთავარი საფრთხე ვერ შენიშნა და საბოლოოდ აირია.

ყველანი, ვინც „ცივი ომის" სუსხიდან მოვედით, — ჯაშუშები, დიპლომატები, გენერლები, პოლიტიკოსები — მოვალენი ვართ ეროზიისაგან დავიცვათ ღირებულებათა ტრადიციული სისტემები, მათ შორის თვითგამორკვევის იდეაც. უფრო მეტად კი, პირველ რიგში ჩვენ, პოლიტიკოსებს, გვჭირდება იდეის თვითგამორკვევა. ჩვენ გვჭირდება მისი თავისუფლება და გუშინდელ დღეზე წარმოდგენებისაგან გათავისუფლება.

ჩვენ, იდეების თავისუფლებას რომ მოვიპოვებთ, მივხვდებით და დავინახავთ, რომ გარე სამყარომ გაგვისწრო თავისი გარდაქმნებით, რომ ამ სამყაროში, მაგალითად, პირველმა ხელისუფლებამ დიდი ხანია მეოთხეს დაუთმო პირველობა, და ახლა, ადგილი რომ გაუცვალა მან, იძულებულია თავისი გადაწყვეტილებანი მის ბრძანებებს დაუმორჩილოს. რომ ამ ხელისუფლების დიქტატურა, ტელედიქტატურა, მილიონებს რომ აძრწუნებს მასობრივი ძალადობის სცენებით, გვაიძულებს მივიღოთ მხოლოდ ჰუმანიტარული გადაწყვეტილებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების საზიანოდ. რომ ომები, აგრესია, კონფლიქტები მხოლოდ იმდენად არსებობს თქვენთვის, რამდენადაც ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებს შეუძლიათ იგი მოიტანონ თქვენამდე. მაგალითად, ჩეჩნეთის საშინელებები თქვენამდე მოდის, აფხაზეთის კოშმარები კი, სადაც ადგილობრივმა სეპარატიზმმა გაცილებით დიდი ბოროტება ჩაიდინა — არა. თქვენი პროტესტი ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო განაპირობა ტელეკამერამ. ამავე ტელეკამერამ თითქოსდა გაგვათავისუფლა აუცილებლობისგან პროტესტი გამოგვეთქვა ჩვენი საუკუნის ნამდვილი ეთნოინკვიზიციის წინააღმდეგ, რომელიც აფხაზეთში მძვინვარებს, საიდანაც ტერორითა და დაშინებით გამოძევებულია 300 ათასი ჩემი თანამემამულე. ყველაფერი ძალიან მარტივია. ტელეკამერა აღმოჩნდა ჩეჩნეთში, აფხაზეთში კი არა! იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში იმუშავა „ფუკიდიდეს კანონმა": „ძლიერნი აკეთებენ იმას, რაც სურთ, სუსტნი კი იტანჯებიან, როგორც შეშვენით". ჩეჩნეთის ტრაგედია ხომ აფხაზეთში დაიწყო, რომელიც აგრესიულმა სეპარატიზმმა და პოსტკომუნისტურმა იმპერიალისტურმა ძალებმა თავისი ჩანაფიქრების პოლიგონად და საცდელ ქვად აქცია.

ამ ქვისათვის დასავლეთის საზოგადოებრიობას ფეხი არ წამოუკრავს — იგი უბრალოდ არ აღმოჩნდა მის ტელეეკრანზე.

საკუთარი თავისადმი პატიოსანი, მკაცრი მიდგომა თვალს აგვიხელს არა მხოლოდ იმაზე, რომ პოლიტიკურმა გონმა მთლიანად ამოწურა თავისი რესურსები, რომ მას აღარ შესწევს უნარი პასუხი გასცეს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე საკითხებს, რომ კაცობრიობისათვის პერსპექტიული იდეების შემუშავებაში ჭეშმარიტად ავტორიტეტული ლიდერების სიუხვეს არ განვიცდით, არამედ იმაზეც, რომ, რაც ვინძლო ყველაზე სამწუხაროა, გამოილია ადამიანობის, სიკეთის, ბოროტებით აღშფოთებისა და მასთან ბრძოლის მზადყოფნის მსოფლიო მარაგი.

ხდება ან უკვე მოხდა ძალადობასთან, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთან შეჩვევა, რაც უცხო იყო მეორე მსოფლიო ომის მომსწრეთა სინდისისა და სულისათვის. სამოციანი წლების „გაბრაზებული ახალგაზრდების" თაობის კაცი, კითხულობს, ნუთუ სამუდამოდ დავკარგეთ უნარი განრისხებულებმა უკან მოვიხედოთ? ნუთუ საუკუნის ყველაზე დიდ ბოროტებაზე გამარჯვების 50-ე წლისთავს ვერ ვიპოვით იმ უამრავ ახალ ბოროტებაზე გამარჯვების გზებს, რომლებიც ამ გადასახედიდან ქვეყნების გამიჯნავი კედლების აღდგენასა და „ცივი ომის" ხელახლა დაწყებას გვპირდებიან?

ნეგატივიზმი და გულგატეხილობა პატივისცემას არასოდეს იმსახურებდნენ. ტრადიციული ისტორიული ოპტიმიზმით რომ ვილაპარაკო, უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი იქნება ო,კეი, რომ შევძლებთ ყველა პრობლემის გადაწყვეტას, პოსტკონფრონტაციული მსოფლიოს ყველაზე რაციონალურ [illegible] შევქმნით, შევიმუშავებთ ევროპული უსაფრთხოების ახალ სისტემას, რომელიც თავისი ნებისმიერი კონფიგურაციითა და შემადგენლობით გამორიცხავს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა წუხილს და რუსეთის სამართლიან შეშფოთებას, შევძლებთ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, ისე როგორც სპარსეთის ყურეში კრიზისის დროს, როცა ქუვეიტში ერაყის შეჭრას აგრესია დავარქვით, რასაც ვერ ვბედავთ ახლა, როცა სეპარატიზმს — სეპარატიზმს არ ვარქმევთ, ხოლო გენოციდს — გენოციდს, წინ აღვუდგებით ქვეყნების დაშლის ეპიდემიას, რომლის შედეგებიც მსოფლიოს ყველა ახლანდელ საშინელებაზე უარესი შეიძლება იყოს. მივიღებთ ამისათვის ყველა საჭირო, სწრაფ, გადამწყვეტ ზომას, არ მივაქცევთ ყურადღებას ხარჯებს, კრიტიკას, კრიტიკას, რომელსაც მხოლოდ დღევანდელი დღე აწუხებს. გვეყოფა სითამამე, რომ არ შევცვალოთ სამშვიდობო ოპერაციები აგრესორის დაშოშმინებით, შელახული უფლებების სამართლიანი აღდგენა კი საერთაშორისო მეთვალყურეობის ნეიტრალიზმით. განვუდგებით სურვილს ყველაფერი უცვლელად დავტოვოთ იმის გამო, რომ ან არ გვსურს ან არ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მშვიდობის შენარჩუნების ტრადიციულმა მეთოდებმა დაკარგეს ქმედითობა და საჭიროებენ იმგვარ მოდერნიზაციას, რომელიც გაითვალისწინებდა სამართლებრივი რეგულირების ახალ სისტემებს, საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირების აუცილებლობას, ხოლო თუ საჭირო გახდა — საპოლიციო ზომებს. ვაიძულებთ საერთაშორისო ბიუროკრატიას რეალურად აქციოს მსოფლიო სტრუქტურები მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გარანტად.

ძალიან მინდა ახლავე შეგვეძლოს ვუპასუხოთ ჩვენი დროის ყველა საჭირბოროტო შეკითხვას, დისკუსიიდან მოქმედებაზე გადავიდეთ, დაღლილობა ენერგიით შევცვალოთ, აპათია — აღმაფრენით, გულგატეხილობა — ოპტიმიზმით, დაქსაქსულობა — ერთიანობით. მაგრამ, რამეთუ ყველაფერს ამას ჯერჯერობით ვერ მივაღწევთ, მოდით კაცურად მაინც ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.

ე. შევარდნაძე.

დიდ ბრიტანეთთან ახალი ურთიერთობის დაწყება ისტორიული მოვლენაა

(დასასრული)

მკვიდრდა. იგი საკმაო პოპულარობით, ბოლო დროს სიმპათიებითაც სარგებლობს, გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ მის აზრს ანგარიშს უწევენ, პატივს სცემენ. ეს დიდი კაპიტალია, რომელიც გაფრთხილებასა და გამდიდრებას საჭიროებს.

ლონდონში მოვილაპარაკეთ საელჩოების გახსნაზე, რაც უდავოდ, დიდ სტიმულს მისცემს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დინამიკურ განვითარებას. პრემიერმა გადაწყვიტა საკითხი „ნოუ ჰაუს" ფონდის ხაზით ტექნიკური პროგრამების დაფინანსების გაორმაგებისა — ამჟამად მილიონნახევარი დოლარი იხარჯება და თანხა გაორმაგდება. გაიზრდება კონტინგენტი იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც სწავლობენ ინგლისში.

ლონდონის დიალოგებიდან გამოვყოფდი, როგორც უაღრესად საჭიროსა და სასარგებლოს, შეხვედრას ევრობანკის პრეზიდენტთან, მის კოლეგებთან. ეს ბანკი საკმაოდ მოკლე დროში ევროპის ერთ-ერთ წამყვან საფინანსო, საბანკო ცენტრად იქცა. როგორც ცნობილია, ევრობანკმა გამოყო 18 მილიონი დოლარი ჩვენი ენერგეტიკული ობიექტების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისათვის. ევრობანკი დაგვეთანხმა საჭიროების შემთხვევაში ნაწილი ამ თანხებისა გამოვიყენოთ თბილსრესის ავარიის შედეგად დაზიანებული ბლოკების აღსადგენად. ამას წინათ გერმანიიდან შეგვატყობინეს, რომ გამოყვეს 20 მილიონი მარკა — ეს, პრაქტიკულად გრძელვადიანი კრედიტია. ევრობანკის თანხმობა, გამოყოფილი თანხების ნაწილის გამოყენების თაობაზე საშუალებას გვაძლევს, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს დაზიანებული ბლოკების აღდგენა. იქნებ მე-11 ბლოკის დამთავრებაც მოვახერხოთ. ამ შემთხვევაში გარანტირებული გვექნება ჩვენი მოსახლეობის სითბოთი და სინათლით სტაბილური უზრუნველყოფა.

აფინანსებენ კომპანიას, რომელიც ნავთობის მოპოვებას აწარმოებს სუფსაში, გერმანელებთან და ესპანელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჭიათურის მანგანუმის დამუშავების პროექტში, დააფინანსებენ თბილისის აეროვაგზლის რეკონსტრუქციას, რომელიც 5 მილიონი დოლარი დაჯდება და რის შედეგადაც გამტარუნარიანობა გაიზრდება საათში 2.500 მგზავრამდე. რეკონსტრუქცია შესაძლოა წელსვე დამთავრდეს. ეს საკმაოდ დიდი სტიმულია ამ დარგის განვითარებისათვის.

საინტერესო და საჭირო იყო ინგლისის ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, მთელ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, რომელსაც ლონდონის წამყვანი ბანკების პრეზიდენტებიც ესწრებოდნენ. ეს ძალიან ავტორიტეტული ბანკია.

მოვინახულეთ მსოფლიოში განთქმული ლონდონის ბირჟა. იგი მესამეა ნიუ-იორკისა და ტოკიოს ბირჟების შემდეგ. ბირჟა ისეთი ინსტიტუტია, რომლის მუშაობის გაუცნობლად საბაზრო ეკონომიკას ვერ შევქმნით. ინგლისური ბირჟა თავის დროზე, ორნახევარი საუკუნის წინათ, შეიქმნა იმისათვის, რომ მთავრობისათვის ფული მოეგროვებინა. იგი მართლაც გახდა სახელმწიფოსათვის დამხმარე ცენტრი. ამას წინათ ლონდონის ბირჟამ გამოუშვა ფასიანი ქაღალდები — შედეგად მთავრობამ მიიღო 32 მილიარდი სტერლინგი.

შევხვდი ინგლისის ბიზნესმენთა და ბანკირთა დიდ ჯგუფს, რომლებსაც მივაწოდე ინფორმაცია საქართველოზე, რეფორმებზე, საქართველოსა და კავკასიაში უცხოური ინვესტიციების პერსპექტიულობაზე.

რეფორმების ეპოქაში, როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუქცევადია, ჩვენ ბეჯითად უნდა ვისწავლოთ უცხოელი პარტნიორებისაგან — ბანკების, ბირჟების, საფინანსო ცენტრებისაგან. მე გული მწყდება, რომ ბევრი ჩვენი წარმომადგენელი უცხოეთში მივლინების დროს ღრმად არ წვდება იქ დაგროვილ უძვირფასეს კაპიტალს, დიდ გამოცდილებას. ჯერ კიდევ ვერ გამოსულან ტურისტ-ექსკურსანტების როლიდან. საჭიროა აქტიური მუშაობა, გამოცდილების სწრაფად შესწავლა.

დიდი სიამოვნება მომანიჭა შეხვედრამ ყოფილი შემნახველი ბანკის პრეზიდენტთან ბატონ ვანო ჩხარტიშვილთან, რომლის ინიციატივითაც განხორციელდა ამ ბანკის აქციონირება. ეს ახალგაზრდა კაცი სამი თვეა ლონდონში მუშაობს. 24 საათი ზის ამ ბანკებში, საფინანსო ცენტრებში და მოდის იქიდან საოცრად საჭირო ცოდნით, შესანიშნავი შეხედულებებით თუ როგორ უნდა აეწყოს ბანკის მუშაობა საქართველოში.

უდავოდ მნიშვნელოვანი იყო ქართულ-ინგლისური ერთობლივი საწარმოს გაცნობა, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს საზღვაო სანაოსნო გახლავთ. გვავიწყდება, რომ ქვეყნის სამოქალაქო საზღვაო ფლოტს ყურადღება სჭირდება. და დელეგაციის მიერ საწარმოს მონახულება ამ ყურადღების გამოხატულება გახლავთ.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ლონდონის პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრა. ვფიქრობ, ლონდონელებმა ბევრი რამ მოისმინეს საქართველოზეც და გლობალურ პრობლემებზეც.

აღსანიშნავია შეხვედრა ენერგეტიკისა და მრეწველობის მინისტრთან, რომელიც დაგვპირდა, რომ გაზაფხულზე ჩამოვა საქართველოში გარკვეული წინადადებებითა და მოსაზრებებით.

ბოლოსათვის შემოვინახე განსაკუთრებული მადლიერების სიტყვები იმის გამო, რომ მისმა უდიდებულესობამ დიდი ბრიტანეთისა და თანამეგობრობის დედოფალმა ისურვა ჩემთან შეხვედრა. სამწუხაროდ, სასახლეში მიღებული არ არის ტელეკამერებითა და ფოტოაპარატებით შესვლა და ამიტომ არ მოხერხდა ამ დიალოგის გადაცემა. გამაკვირვა მისი უდიდებულესობის ცხოველმა ინტერესმა საქართველოსა და კავკასიისადმი, მისმა ინფორმირებულობამ ჩვენში და ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ.

17 თებერვალს, დილით, როგორც ეს პროგრამით იყო გათვალისწინებული, შეჩერდით ბრიუსელში, ვეწვიეთ ევროკავშირის შტაბ-ბინას, სადაც ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი საუბარი მქონდა ევროკომისიის ახალ თავმჯდომარესთან ჟაკ სანტერთან. აღინიშნა, რომ ეს უმაღლესი რანგის პირველი ვიზიტია, მას შემდეგ, რაც ჟაკ სანტერი, ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერი, გახდა ბატონ დელორის მემკვიდრე.

მიაქციეთ ყურადღება: 1992-94 წლებში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი კრედიტებითა და დახმარებებით საქართველოში შემოვიდა ნახევარი მილიონი ტონა ფქვილი, ათასობით ტონა კარაქი, მცენარეული ზეთი, მედიკამენტები და სხვა. ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობა უაღრესად საარსებო მნიშვნელობისაა.

სამწუხაროდ, დადგა დრო ვალების გასტუმრებისა და ჩემი თხოვნა (ამ ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო) ის იყო, რომ კრედიტების დაფარვის ვადა 3-5 წლით გაგრძელდეს. დაკანონებულია: ვინც არ დაფარავს ვალს — შეუწყდება დაკრედიტება და დახმარების გაწევა. ასეთი სასტიკი წესი აქვთ. მხოლოდ ამ დონეზე უნდა მომხდარიყო შეხვედრის ორგანიზაცია იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ და გავზარდოთ კიდეც მოსახლეობისათვის საარსებოდ აუცილებელი სურსათის შემოტანა უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში, გადავიტანოთ ეს ჰუმანიტარული დახმარება განვითარების პროგრამებზე. ევროკომისიის ახალი ხელმძღვანელი დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და თანადგომასა და დახმარებას დაგვპირდა. აქვე გვაცნობეს, რომ მიღებულია გადაწყვეტილება 12 მილიონი ეკიუს დახმარების გამოყოფის შესახებ, რომლის ნაწილი დაიხარჯება ხორბლის, მედიკამენტების შეძენისათვის, 2 მილიონი ეკიუ დაეთმობა მაზუთის შეძენას და ა. შ. ეს ერთგვარი საჩუქარი იყო და ესეც მნიშვნელოვანი მოვლენაა.

უაღრესად კმაყოფილი ვარ ევროკავშირში პერსპექტიული საკითხების განხილვით. მალე დაიწყება მოლაპარაკება ევროკავშირთან პარტნიორობის ხელშეკრულების მოსამზადებლად, რაც საფუძველი გახდება ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისა. სხვათა შორის, ევროპელები არ ჩქარობენ, ესპანეთს, მაგალითად, რამდენიმე წელიწადი დასჭირდა ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. ევროპაში ჯერ დაობდნენ, ეკუთვნის თუ არა საქართველო ევროპას. ევროსაბჭომ გვაღიარა, როგორც ევროპული ქვეყანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის დავიწყოთ მუშაობა. ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ხელშეკრულების პროექტის შესახებ მოლაპარაკებას დავიწყებთ აპრილის ან მაისის დამდეგს. ბატონი ზურაბ აბაშიძე აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ ამ მოლაპარაკების დაწყება დაჩქარდეს.

დიდ ინტერესს იჩენენ ევრაზიის დერეფნის მშენებლობისათვის. შევთანხმდით, რომ სამუშაო ჯგუფები აპრილში საქართველოში შეიკრიბებიან და გადაწყვეტენ ამ პროექტის ძირითადი მიმართულებების განსახილველად კონფერენციის გამართვის მიზანშეწონილობას. შესაძლებელია კონფერენცია თბილისში გაიმართოს.

შეგრძნება ასეთია: ევროპა, ევროკავშირი სულ უფრო მეტად ინტერესდებიან საქართველოთი, მიესალმებიან აქ მიმდინარე რეფორმებს, დემოკრატიული აღმშენებლობის კურსს, მიიჩნევენ საქართველოს მაღალი პოტენციალის მქონე სახელმწიფოდ, რომელიც სწრაფად დააღწევს თავს კრიზისს და დაიწყებს პარტნიორობას ისეთ გიგანტებთან, როგორიც არის ევროკავშირი, ევროსაბჭო, ბანკი და სხვა მრავალი.

პრობლემები შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოში ევროკავშირის ელჩთან, ბატონ ქორბოისთან ერთად, რომელიც კავკასიას ემსახურება.

შევხვდი ექსპერტთა ჯგუფს. ეს საინტერესო და საჭირო საუბარი იყო. მინდა ვთქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საფინანსო და საბანკო ცენტრებთან ურთიერთობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობისა და მომავლისათვის. თავის დროზე საერთაშორისო მხარდაჭერამ ულატაკესი ქვეყნები აყვავებამდე მიიყვანა, მაგალითად, სამხრეთ კორეა და მრავალი სხვა.

ვაშინგტონში ვიზიტის დროს მსოფლიოს ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ დაიწყო ამ ორგანიზაციებთან რეალური თანამშრომლობა, სწორედ მაშინ განისაზღვრა მათი სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში. პრაქტიკული შედეგი ის არის, რომ ჩვენ უკვე მივიღეთ სისტემური ტრანსფორმაციისათვის შესაბამისი კრედიტი, ამ დღეებში კი მიღებულია გადაწყვეტილება 75 მილიონი დოლარის მოცულობით სტაბილიზაციის კრედიტის გამოყოფაზე. ამ კრედიტმა შეიძლება სული მოგვათქმევინოს.

როცა ქვეყანა აქტიურად მუშაობს, დაადგა სწორ გზას — რეფორმების გზას (ვიზიტის დროს ჩვენ ამაში დავარწმუნეთ შესაბამისი ხელმძღვანელები), სათანადო შედეგსაც ვიღებთ. ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებლობას გვაძლევს უახლოეს თვეებში შევქმნათ ჩვენი ეროვნული ვალუტა. იგი, ბუნებრივია, მოგვიტანს უკეთეს შედეგებს, ხალხის, მოქალაქეთა ცხოვრების პირობები ნელა, მაგრამ მაინც გაუმჯობესდება.

სახელმწიფოს მეთაურმა ისტორიული მოვლენა უწოდა დიდ ბრიტანეთთან, უშიშროების საბჭოს ნამდვილ წევრ ქვეყანასთან ახალი ურთიერთობის დაწყებას.

მერი ბაბრიაძე.

„მსოფლიო, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგრესიული ხდება სეპარატიზმის მიმართ, რამდენადაც იგი ემუქრება ყველა ქვეყნის კეთილდღეობას"

(დასასრული)

როპარატმა" 50 მილიარდის ნაცვლად 64 მილიარდი კუპონის პროდუქცია შექმნა. „თბილხელსაწყომ", სადაც ამას წინათ გახლდით, 15 მილიარდის ნაცვლად 18,5 მილიარდი კუპონის პროდუქცია გამოუშვა. თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტმა" 10 მილიარდის ნაცვლად — 12 მილიარდისა და ასე შემდეგ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. მინდა მადლობის სიტყვებით მივმართო იმ კოლექტივებს, რაიონებსა და ამ კოლექტივების ხელმძღვანელებს, რომლებიც ახერხებენ გამოიყენონ სამრეწველო პოტენციალი მოქალაქეთა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია მრეწველობის ელექტროენერგიით გარკვეულ დონეზე სტაბილიზაცია (ეს ბატონ გამყრელიძის საყურადღებოდ), რისთვისაც საჭიროა დამთავრდეს ხელშეკრულების გაფორმება დეპარტამენტ საქენერგოსა და მრეწველობის საწარმოებს შორის. სწორედ ამ კონტრაქტებმა უნდა არეგულირონ ურთიერთობა საქენერგოს, ელექტრომომწოდებელ დარგსა და მრეწველობას შორის. ვინც დაარღვევს პირობას, მან პასუხი უნდა აგოს არა სასამართლოში, არამედ ფულით, უნდა დაუფაროს ის ზარალი, რომელსაც ისინი ერთმანეთს აყენებენ.

აღნიშნულის გარდა, მინისტრთა კაბინეტისაგან მოვითხოვ დაჩქარდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის ბიუჯეტის წინაშე საწარმოთა დავალიანებებზე ორ პროცენტიანი ყოველთვიური საურავის გადასინჯვა (ეს საკითხი ერთი თვის წინათ იდგა დღის წესრიგში, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი ამაზე არ არის), ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზზე, წყალზე ფასების მოწესრიგება, თურქმენეთში სახელმწიფო შეკვეთით გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურება და სხვა. ეს პრობლემები დაუსრულებლად ჭიანურდება და მოვითხოვ, რომ ისინი დროულად გადაწყდეს.

სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების მუშაობის გააქტიურებაზე დიდად არის დამოკიდებული 1995 წლის რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება, რაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, წლის განვლილ პერიოდში შემოსავლების სახით პროგნოზური რაოდენობის მეათედზე ცოტა მეტია შემოსული. ამ პირობებში, როგორც არაერთხელ ითქვა, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას. ამ თემას იმიტომ ვეხები, რომ საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლად ლაპარაკი ზედმეტია ხელფასების მომატებაზე, თუნდაც ხელფასების, პენსიების გაცემაზე, საერთოდ, ყოველგვარ კეთილდღეობაზე. საგადასახადო ინსპექციის ცნობით, ოპერატიული სამმართველოს ძალებით შემოწმდა 98 იურიდიული და ფიზიკური პირის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დამატებით დარიცხულია და ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოვიდა თითქმის ერთი ტრილიონი კუპონი. რატომ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი დარიცხვები? მივმართავ თითოეულ გამგებელს, რომ ყველა ამ ფაქტში დაინახონ უპასუხისმგებლობა საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. აღსანიშნავია ინსპექციის მუშაობა ზესტაფონში, სადაც ბიუჯეტის სასარგებლოდ შემოსულია 718 მილიარდი კუპონი, პრაქტიკულად, ეს გადამალული იყო. „ინდუსტრიაბანკისა" და „ბინსოცბანკის" ზესტაფონის განყოფილებებში დარიცხული და ამოღებულია 41 მილიარდი კუპონი, თელავის მექანიკურ ქარხანაში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულია 163 მილიარდი კუპონი და ასე შემდეგ. საანგარიშო კვირაში ქალაქ თბილისის საგადასახადო ორგანოებმა შეამოწმეს 54 ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებში სხვადასხვა დარღვევისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულმა თანხებმა 77 მილიარდი კუპონი შეადგინა.

ვფიქრობ, რომ უნდა დაისვას (მივმართავ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და სხვებსაც) პასუხისმგებლობის საკითხი. იქ, სადაც ლაპარაკია დამალვაზე, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაზე საფინანსო სფეროში, ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ კანონისა და სამართლის წინაშე.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტი, ვიცე-პრემიერები, მინისტრები, განსაკუთრებით კი ფინანსთა სამინისტრო, საბანკო სისტემები, საგადასახადო ინსპექცია უნდა მუშაობდნენ საგანგებო რეჟიმში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების მდგომარეობას ორი თვის შედეგების მიხედვით, ვფიქრობ, ჩემს დონეზე განვიხილავ. არავის არ ვაშინებ, მაგრამ მიღებული ზომები ძალიან მკაცრი იქნება. სახელმწიფო მშენებლობის ჩვენი უნარი სწორედ ამ სფეროში განისაზღვრება, რამდენად გერგილიანად მოვახერხებთ, უპირველესად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებას.

ასევე კორექტივი უნდა შევიტანო საკონტროლო პალატის საქმიანობაში. მათ მიაჩნიათ, რომ მათი მთავარი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე ის არის, თუ როგორ იხარჯება სახარჯო ნაწილი, არავითარ ხარჯვაზე ლაპარაკი არ იქნება, თუ არ შესრულდა საშემოსავლო ნაწილი. ამიტომ საკონტროლო პალატამაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს.

საანგარიშო კვირაში გაიმართა ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მორიგი ვაჭრობები. კომერციული ბანკები ამერიკული დოლარების მყიდველთა კვლავ აქტიურ როლში გვევლინებოდნენ. მოწოდება მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა. მოთხოვნის სტაბილურობა იმით აიხსნება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო რეკომენდაციებში გათვალისწინებული რაოდენობრივი ორიენტირების თანახმად ეროვნულმა ბანკმა, წლეულს, თებერვალში, დაუშვა საკრედიტო ემისია, რომლის ძირითადი ნაწილის კონვერტაცია დოლარებში ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე ხდება. ამ უკანასკნელის ბრუნვამ ბოლო ორ ვაჭრობაზე მილიონ 180 ათასი დოლარი შეადგინა. საანგარიშო კვირაში ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში რამდენადმე დაიწია კუპონებით ამერიკული დოლარისა და რუსული რუბლის შესყიდვის კურსებმა. ასეთ ვითარებაში ეროვნულმა ბანკმა ამ კვირაში გამართულ ვაჭრობებზე მიზანშეწონილად მიიჩნია კუპონის კურსის წინა დონეზე დატოვება: 1 დოლარი — მილიონ 800 ათასი კუპონი. ასევე დარჩა უცვლელი კუპონის კურსი რუსული რუბლის მიმართაც. განვლილ კვირაში კომერციული ბანკების მოთხოვნამ რუსულ რუბლზე შეადგინა 32 მილიონი. ამ უკანასკნელთა გაყიდვის სურვილი არცერთ კომერციულ ბანკს არ გამოუთქვამს. მათი გაყიდვისაგან ასევე თავი შეიკავა ეროვნულმა ბანკმაც. მოქმედი წესების თანახმად მიწოდების უქონლობის პირობებში რუსულ რუბლებზე გარიგება არ დადებულა. ოფიციალური კურსით 1 რუსული რუბლი კვლავ 302 კუპონი ღირს.

ასეთია ზოგადი მიმოხილვა, ზოგიერთ საკითხში კონკრეტული ვითარებისა, რაც დამახასიათებელია ჩვენი ეკონომიკისა და ფინანსებისათვის ამ ერთი კვირის განმავლობაში.

— ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ყველაზე საინტერესო იყო, რადგან შეხვედრების რაოდენობიდან, ალბათ, 90 პროცენტი სწორედ ეკონომიკური ხასიათისა იყო. პოლიტიკურ ნაწილში, იმ დეკლარაციის გარდა, რომელიც ორ ქვეყანას შორის დაიდო, ცალკე თემად შეიძლება გამოიყოს თქვენი გამოსვლა საერთაშორისო ურთიერთობის ლონდონის სამეფო ინსტიტუტში. ამ გამოსვლას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ინგლისურ პრესაში. გამოსვლის შემდეგ თქვენთან შეხვედრაზე მოსული საგარეო საქმეთა მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი თუ სხვები თავიანთ საუბარს იწყებდნენ სიტყვებით, რომ „თქვენი გამოსვლა ჩეთემჰაუზში"... და შემდეგ მიმდინარეობდა ანალიზი და მათი დამოკიდებულება ამ გამოსვლისადმი.

ცივი ომის შემდეგდროინდელ მსოფლიოზე — გაცილებით ადრე დაიწყეთ საუბარი.. ოთხმოცდაათიან წლებში — ეს იყო გაეროში, ჰელსინკში, ვაშინგტონში, ამერიკის პრესკლუბში, ბუდაპეშტში, ალმათში გამოსვლები, როგორ მიგაჩნიათ, რამდენად საკმარისია ის ტემპები, რითაც ამ თემის წამოწევა ხდება. ალმათში მიღებული დოკუმენტისა და იმ პუნქტის მნიშვნელობა, რომელიც ქართული მხარის შესწორებით შევიდა, გასაგებია. ნაკლებად გასაკვირია, რადგან ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებია და მათ ძალიან კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს სეპარატიზმი, მისი შედეგი ყველამ ვნახეთ. რამდენად ესმით ეს იქ, სადაც უწინარესად უნდა ესმოდეთ, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც დღეს უზრუნველყოფილი არიან და მიაჩნიათ, რომ მათ ეს საფრთხე არ ემუქრებათ...

— ცივი ომის შემდგომი პერიოდის ჩვენეული ანალიზი პრინციპში სწორია. თქვენ უკვე ჩამოთვალეთ ის დიდი მასშტაბის სამიტები, სადაც საქართველოს დელეგაციას ჰქონდა საშუალება ამ საკითხებზე გამოეთქვა თავისი შეხედულება. რაც უფრო დრო გადის, მკაცრ ფორმას იღებს ჩვენეული ხედვა და ანალიზი. როგორც გითხარით, შეფასებები მკაცრია, მაგრამ სამართლიანი, როცა ანალიზი და დასკვნები ობიექტურია, მე ასე ვიტყოდი, მეცნიერულია, მსოფლიო საზოგადოებრიობა ამას სწორად აღიქვამს. რადგან დღეს ლაპარაკი მარტო იმაზე კი არ არის, რომ თითოეული სახელმწიფო დემოკრატიული იყოს, არამედ დემოკრატიულ საწყისებზე უნდა იყოს აგებული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა და საერთაშორისო ცხოვრება. სწორედ ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ თქვა სიმართლე, მათ შორის მწარე სიმართლეც. კერძოდ, აგრესიული სეპარატიზმის მიმართ (მე ამას ახლა გამოვყოფდი სხვა თემებისგან) დამოკიდებულება თანდათანობით შეიცვალა და კიდევ უფრო შეიცვლება. მსოფლიო, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგრესიული ხდება სეპარატიზმის მიმართ, რამდენადაც ეს მოვლენა, პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის კეთილდღეობას ემუქრება. მსოფლიო ამაში დარწმუნდა ევროპის, აზიისა თუ ჩვენი მაგალითით. ინგლისისთვისაც ეს მოვლენა უცხო არ არის, ისე როგორც სხვა ქვეყნებისთვის, იმავე რუსეთისათვის. როგორც იტყვიან, ლამის საფუძვლები შეარყია იმ მოვლენამ, რომელიც ახლა დაკავშირებულია ჩეჩნეთთან. კიდევ კარგი, რომ რუსეთი გამოერკვა და იგი საგანგებო ზომებს იღებს სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, რუსეთის სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად. მინდა ვთქვა, რომ საქართველოში (თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს) ძალიან აქტიურად ვუჭერთ მხარს ყველაფერს, რასაც დღეს რუსეთი აკეთებს ერთიანობის, მთლიანობის, ტერიტორიული განუყოფლობის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო შევიწროვდება რკალი სეპარატისტების ირგვლივ. ეს, რაღა თქმა უნდა, უწინარესად აფხაზურ სეპარატიზმს ეხება. რაც უფრო ადრე მიხვდებიან გუდაუთის ლიდერები მათი პოლიტიკის დამღუპველობას თვით აფხაზი ხალხის მიმართ, მით უკეთესია მათთვისაც და ჩვენთვისაც.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ დაიკავა თავისი ადგილი მსოფლიო, ევროპულ პოლიტიკაში, მისი ხმა ისმის, მისი აზრი, როგორც იტყვიან, მოქმედებს და ეს უდავოდ დიდი მონაპოვარია.

— გასულ კვირას თქვენ მიიღეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილი, რომელშიც ასეთი სიტყვებია: აფხაზეთში არსებული ხელისუფლება იზოლაციაშია, და მას არავინ სცნობს. უშიშროების საბჭო ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს — თქვენ საკმაოდ საინტერესო შეხვედრები გქონდათ ალმათში, ბრიტანეთშიც მრავალჯერ წამოჭრეს ეს საკითხი. იქ ითქვა ერთ-ერთი საინტერესო ფრაზა: სეპარატიზმი თქვენი უბედურება კი არ არის, ეს მოვლენა თქვენს გარეთაც არსებობს, თქვენ ამის ერთი სამწუხარო მაგალითი ხართო. ხომ არ ნიშნავს ეს ყველაფერი, რომ აფხაზეთის პრობლემა ახალ სტადიაში შედის? თუ გადაწყვეტილებები, განცხადებები ისევ განცხადებებად დარჩება?

— ჯერ ერთი, მინდა მადლობა შევუთვალო პრეზიდენტ კლინტონს (მე მოვძებნი ამის ფორმას) კიდევ ერთხელ ასეთი აქტიური მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. საქართველო არ იყო განებივრებული ასეთი წერილებით, მიმართვებით, აქტიური მხარდაჭერით, ყოველმხრივი აღიარებით და ვფიქრობ, ესეც ჩვენი დიდი მონაპოვარია.

მეორე: როგორც ზემოთ აღვნიშნე, რკალი სეპარატისტების ირგვლივ თანდათანობით ვიწროვდება. ფრთხილად და წინდახედულად უნდა იყვნენ აფხაზეთში, თორემ ეს რკალი შეიძლება მარყუჟადაც გადაიქცეს. ამას მთელი გულახდილობით მათ გასაგონად ვლაპარაკობ. ეს არ არის დაშინება, ეს არის მოვლენათა განვითარების ლოგიკა. ასე განვითარდება მოვლენები და ეს მათ უნდა გაიგონ და დაიჯერონ. ნუ დაკარგავენ რეალობის გრძნობას, რაც შეიძლება ჩქარა გადაერთონ დიალოგისა და მოქმედების კონსტრუქციულ ტალღაზე. მხოლოდ ასეთ პოლიტიკას აქვს მომავალი. სეპარატიზმი ვეღარ ისუნთქებს თავისუფლად და ჟანგბადის არტერიები ჩაეკეტება. ეს უნდა იყოს შედეგი იმისა, რაც ბოლო დროს სეპარატიზმისადმი დამოკიდებულებაში იგრძნობა.

— ბოლო კვირაში შეიმჩნეოდა სამართალდამცავი ორგანოების, განსაკუთრებით, პოლიციის გააქტიურება. გასულ კვირას რამდენიმე ოპერაცია განხორციელდა. ხვალ პარლამენტი იწყებს მუშაობას. ამ ორ თითქოსდა ერთმანეთთან დაუკავშირებელ თემებს იმიტომ ვაერთიანებთ, რომ იმავე ბრიტანეთში ერთ-ერთი მთავარი თემა იყო კრიმინალური ფონის შედარებით გაუმჯობესება (ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ) და საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, ფაქტობრივად, მეწარმეთა კონფედერაციასთან შეხვედრაზე თქვენ ძალიან კონკრეტულ კითხვებს გისვამდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ჟღერს ამა თუ იმ კანონში ეს და ეს პუნქტი. მაშინ, როცა ჩვენ ეკონომიკური კანონი საერთოდ ქაღალდზეც კი არა გვაქვს..

— ჩემი ინფორმაცია პარლამენტისადმი ამავე დროს იყო მიმართვა იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს კანონშემოქმედებითი პროცესი, კანონების მიღების პროცესი. ახლა ეს უმთავრესი ამოცანაა. იმავე ინგლისში, ევროპულ ბანკში, თუ ევროკავშირში, ბრიუსელში სადაც ჩვენ შევჩერდით და ვისაუბრეთ, არ აინტერესებთ ზოგადი საუბრები, რომ ჩვენ რეფორმატორები ვართ, რომ ჩვენ რეფორმების მომხრე ვართ. ევროპული ბანკის პრეზიდენტმა გამოთქვა სიხარული იმის გამო, რომ ჩვენს საუბარს ჰქონდა სრულიად კონკრეტული ხასიათი, კონკრეტული ინფორმაცია — რა არის კონკრეტულად, კონკრეტულ დარგებში ეს რეფორმები და როგორ გვესმის მათი საბოლოო შედეგი. ასევე იყო იმ საქმიან წრეებთან შეხვედრებში, რომლებთანაც გვქონდა კონტაქტები. კონკრეტულობა, მოძრაობა შეფერხდება, შეჩერდება, ჩაიშლება რეფორმები თუ არ იქნება საკანონმდებლო ბაზა. სწორედ საკანონმდებლო ბაზის შექმნით უნდა შევიდეს ჩვენი დღევანდელი პარლამენტი (ვგულისხმობ ჩემს თავსაც), საქართველოს ისტორიაში. საკანონმდებლო ბაზა ახალი სახელმწიფოსათვის — კონსტიტუციის ჩათვლით, მისი ეკონომიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროებისათვის, რეფორმებისათვის ყველა მიმართულებით, არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ჯანმრთელობაში, განათლებაში, ყველა სფეროში. მინდა მჯეროდეს, რომ პარლამენტი ამას შეძლებს და მეორეხარისხოვანი, წვრილმანი საკითხებიდან, გაუთავებელი განცხადებებიდან და რეპლიკებიდან ჩვენ გადავალთ სერიოზულ კანონშემოქმედებით მუშაობაზე. სავსებით სწორად შენიშნეს ინგლისსაცა და ბრიუსელშიც, თუ რა არის დღეს ჩვენი ამოცანა.

ერთი დეტალი მინდა გამოვყო: ევრობანკში, ევროკავშირში და არა მარტო იქ, სქელი საქაღალდეებით იყვნენ მოსული, ხანდახან არც კი გჯერა, რომ საქართველოზე შედგენილი ამხელა საქაღალდე, მაშინ, როცა ჩვენ ან საერთოდ უქაღალდებოდ ვსხედვართ (ჩემს თავზე ამას ვერ ვიტყვი, რადგან მე მართლა ვზივარ და ვაკონსპექტებ ყველაფერს, სერიოზულად ვემზადები, არიან ზოგიერთი გამონაკლისებიც). ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც კი გრჩება, რომ სწორედ კონკრეტულობის, ანალიზის თვალსაზრისით მათ უკეთესად იციან, რა ხდება ჩვენთან, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა წარმომადგენელმა. ალბათ, ესეც არ უნდა გვიკვირდეს, რადგან ჩვენი ხალხი არ არის მიჩვეული ასეთ აზროვნებას და მუშაობის ასეთ სტილს. ვფიქრობ, ეს ვიზიტი ბევრის მხრივ გაკვეთილია ჩვენი კადრებისათვის. ახლა მათ ჩვენ მივაჩნივართ ნორმალურ პარტნიორებად, საქმის მცოდნე ხალხად, რომლებთანაც შეიძლება საქმე დაიჭირო, სწორედ პარტნიორული თანამშრომლობა განავითარო.

— დედაქალაქში საკმაოდ ბევრი რამ იცვლება, ბევრი სიახლეებია. მინდა გკითხოთ თბილისში სუპერმარკეტის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ დაათვალიერეთ..

— მე მიმაჩნია, რომ რაც გუშინ ვნახე, ძირითადად, ორი ობიექტი, ეს პირველი მერცხლებია, თუმცა დედაქალაქში სხვაც არის. ყველაფერი უმაღლეს დონეზეა შესრულებული, რამაც ძალიან დიდი სიხარული მომანიჭა. იმის გამო, რომ პროდუქტები და პროდუქცია ახლა ძალიან ძვირია, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს სამუზეუმო გამოფენას უფრო ჰგავს, ვიდრე მაღაზიას. ავიწყდებათ, რომ ახალი საქმე ასე იწყება. როცა ამ რანგის ობიექტები მრავალი იქნება, კონკურენციის კანონი თავის საქმეს გააკეთებს. დღეს მიუწვდომელი — ხვალ ხელმისაწვდომი გახდება. მხედველობაში მაქვს ფასები. ამასთან, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკის გამოცოცხლების პარალელურად გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაც. მაგალითად, როცა თბილისში 2-3 პურის კერძო საცხობი იყო, ამბობდნენ, ვინ იყიდის პურს, იგი ძვირიაო. ახლა 70 ტონა პური ცხვება — ეს არის თურქული, იტალიური და სხვა პური, ურომლისოდაც დედაქალაქის ნორმალური ცხოვრების წარმოდგენა ძნელია. ბუნებრივია, ყველა ქვეყანაში ასე იწყებდნენ და ჩვენთანაც ახლა ეს პროცესი დაიწყო. უახლოეს ხანებში, როგორც ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა მითხრა, 100 ტონა სიმძლავრეზე აიყვანენ. მათ შემოაქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან ფქვილი და ჰყიდიან ჩვენს დედაქალაქში. ეს სხვაგანაც დაიწყო — დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. შემდეგში დაიწყება გაიაფების დრო, მაგრამ იმ დონეზე, რომ ეს მისაღები იყოს მეწარმისთვისაც და მყიდველისთვისაც. ეს პროცესი წარიმართება. ამიტომ პირველი იმედისმომცემი ყლორტები, რაც ახლა გაჩნდა, მისასალმებელია. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ გულით გამახარა უცხოელი და ქართველი ბიზნესმენების პარტნიორობის კონკრეტულმა შედეგმა და კონკრეტულმა მაგალითმა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ დედაქალაქში მეტი უნდა შევნიშნოთ, კერძოდ, წესრიგის დაცვის დარგში. წინათ ყველაფერი სამინისტროს ეკითხებოდა, ახლა დედაქალაქი ახორციელებს წესრიგის დასამყარებლად აუცილებელ ღონისძიებებს.

გუშინ ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელებზე გადაცემამ. საქართველოში ერთადერთი ოაზისი აღარ არის — არის ქუთაისი. თავის დროზე აჭარაზე ვლაპარაკობდით, ბევრი რამ საინტერესო ხდება ფოთში. ასევე ბევრ სხვა რეგიონში, ზუგდიდი ის აღარ არის, რაც იყო, ესეც უნდა შევნიშნოთ. მე ადრე ხონზე, აბაშაზე ვილაპარაკე, ზოგიერთი ძალიან საინტერესო ცვლილებები დაიწყო რუსთავში, სხვა რეგიონებში და ეს ყველაფერი უნდა შევნიშნოთ. რადგან ადამიანი იმედითა და იმედიანი საქმეებით ცხოვრობს.

რადიოინტერვიუს უძღვებოდა ჟურნალისტი **ნატო ონიანი.**

მე მივესალმები გულწრფელი პოლიტიკური დიალოგისკენ მიმართულ თქვენს პირად ძალისხმევას

მის აღმატებულებას,
ედუარდ შევარდნაძეს,
საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის თავმჯდომარეს,
სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

მადლობას მოგახსენებთ კავკასიის პრობლემების ღრმა ანალიზისთვის, რომელიც თქვენს უკანასკნელ წერილშია მოყვანილი. თქვენი უნიკალური ხედვა ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოების მიმართ ჩვენი ყოვლისმომცველი კურსის შემუშავებისას ფასდაუდებელია ჩვენთვის.

ომისა და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი რთული პროცესების უძლიერესი ზეწოლის მიუხედავად, თქვენმა მთავრობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. როგორც თქვენთვის ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა მოიწონეს ძველი ეკონომიკური სისტემის დემონტაჟისკენ მიმართული საქართველოს უცვლელად მყარი კურსი. მე მხურვალედ მივესალმები ამ მიღწევებს და გარწმუნებთ, რომ ჩვენ კვლავაც დავუჭერთ მხარს ეკონომიკურ გარდაქმნებს საქართველოში.

როდესაც თქვენ და მე შევხვდით ერთმანეთს გასული წლის მარტში, ჩვენ მიმოვიხილეთ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა აფხაზეთში თავიანთ სახლებში სწრაფი დაბრუნების შესაძლებლობები. შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის გაზრდას, რათა მას თვალყური ედევნებინა და შეემოწმებინა, თუ როგორ იცავენ მხარეები ცეცხლის შეწყვეტის პირობებს, როგორ მოქმედებენ სამშვიდობო ძალები და როგორ მიმდინარეობს იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნება. ჩვენ, ასევე, გამოვგზავნეთ აშშ-ს ოფიცრები საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიაში.

ცხადია, კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა დაიძლიოს პოლიტიკური განსხვავებები თქვენს მთავრობასა და აფხაზ სეპარატისტებს შორის. ამასთან დაკავშირებით, მე მივესალმები გულწრფელი პოლიტიკური დიალოგისკენ მიმართულ თქვენს პირად ძალისხმევას. აფხაზეთში არსებული ხელისუფლება იზოლაციაშია და მას არავინ არ ცნობს. გაეროს უშიშროების საბჭო ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ჩვენ კვლავაც დავუჭერთ მხარს საქართველოს თქვენი შეუპოვარი ხელმძღვანელობით.

დასასრულ, მე ვუერთდები საქართველოს მომავლის თქვენეულ ოპტიმისტურ ხედვას. ახლა, როცა დაიწყო ახალი წელი, მე განსაკუთრებით ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი ძალისხმევა სწრაფად მოიტანს მშვიდობას და კეთილდღეობას, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკა უკვე რა ხანია მოელის.

გულწრფელად,

უილიამ ჯეფერსონ კლინტონი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროკავშირის წარმომადგენლები

19 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროკავშირის პირველი გენერალური დირექტორატის წევრები, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენლის ჟან-პიერ პიტერსის ხელმძღვანელობით.

დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა, რათა გააგრძელოს მუშაობა იმ მიმართულებებით, რომლებიც დაისახა ბრიუსელში ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას ევროკომისიის თავმჯდომარესთან ჟაკ სანტერთან და პირველი გენერალური დირექტორატის დირექტორის მოადგილესთან რობერ ვერიუსთან.

აღინიშნა, რომ ის სასურსათო დახმარება, რომელიც საქართველომ მიიღო ევროკავშირიდან, კვლავაც გაგრძელდება განსაკუთრებით იმ პროგრესული ძვრების ფონზე, რომლებიც ახლა საქართველოშია. ევროპა დაინტერესებულია საქართველოსთან თანამშრომლობით, მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელმძღვანელის იმიჯი ხელს უწყობს ამ ურთიერთობათა გაღრმავებას.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს იმ დახმარებისათვის, რასაც ქართული მხარე უწევს მათ აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის განკუთვნილი ტვირთების ტრანსპორტირებისას. აღინიშნა ისიც, რომ როგორც აზერბაიჯანი, ასევე სომხეთი გამოთქვამენ ამ ოპერაციის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილს, რამაც შეიძლება დააჩქაროს შერიგების მომენტიც.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს საქართველოსათვის გაწეული დახმარებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამდივნო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოში ჭადრაკის განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

ქართულ საჭადრაკო სკოლას სერიოზული მიღწევები აქვს მოპოვებული ევროპისა და მსოფლიო შეჯიბრებებში, რაზეც მეტყველებს ქართველ მოჭადრაკე ქალთა გამარჯვება მსოფლიოს 31-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე, ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებზე.

მიღწეული წარმატებების შენარჩუნების, ჭადრაკის შემდგომი განვითარების, ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრივი მხარდაჭერის მიზნით:

1. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგეობების თავმჯდომარეებმა ყველა ღონე იხმარონ, რათა აღადგინონ რაიონებსა და ქალაქებში საჭადრაკო კლუბები, არ დაუშვან მათი პროფილის შეცვლა და პრივატიზება სხვა კომერციული მიზნებით გამოყენებისათვის; საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად ხელი შეუწყონ ადგილობრივი საჭადრაკო ფედერაციების შექმნას და მათ მუშაობას.

2. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ სპორტის დეპარტამენტთან და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად 3 თვის ვადაში განიხილოს სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწყებით კლასებში ექსპერიმენტის სახით ჭადრაკის სწავლების შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში სათანადო წინადადებები წარადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თბილისის მერიასთან ერთად 1995 წელს უზრუნველყოს ჭადრაკის სასახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოთა დასაფინანსებლად საჭირო ასიგნებათა გამოყოფა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ სპორტის დეპარტამენტთან ერთად ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საერთაშორისო კალენდრით გათვალისწინებული ოფიციალური შეჯიბრებების პრიორიტეტული დაფინანსება, რისთვისაც 1995 წელს ფედერაციას გამოუყოს 76 200 აშშ დოლარი.

მაია ჩიბურდანიძის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში, მისი მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი სავალუტო სახსრები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადების საფუძველზე.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თბილისის მერია იღებს სათანადო ზომებს ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის კომუნალური ხარჯებისაგან გასათავისუფლებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მაქსიმალურად უზრუნველყოს საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები სამედიცინო მომსახურებით, სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებებითა და მედიკამენტებით;

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადების საფუძველზე შეუფერხებლად გამოყოს ადგილები ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანში“ და შექმნას დიდოსტატთა ვარჯიშისა და წვრთნისათვის სათანადო პირობები.

7. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ავიარეისებზე (მათ შორის საერთაშორისო) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადების პრიორიტეტული დაკმაყოფილება.

მოწონებულ იქნეს საქართველოში მოქმედი კომერციული ავიაკომპანიების („ორბი“, „ეარ ჯორჯია“, „ლიდია“ და სხვ.) კერძო ინიციატივა საქართველოს მოჭადრაკეთათვის უფასო და შეღავათიანი ავიაბილეთების გამოყოფის თაობაზე და მომავალში ყოველმხრივ ხელი შეეწყოს ასეთ ინიციატივებს.

8. მხარი დაეჭიროს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საქმიანობას დამატებითი სავალუტო შემოსავლების გაზრდის მიზნით და მიეცეს მას საკუთარი სავალუტო შემოსავლების შეუზღუდავი ხარჯვის უფლება საწესდებო მიზნების შესაბამისად (მათ შორის სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის მუშაკების სავალუტო პრემირების მიზნით).

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეიქმნას მუდმივმოქმედი მუშა ჯგუფი პრემიერ-მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რომელიც ოპერატიულად მიიღებს მიმდინარე გადაწყვეტილებებს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ ფართოდ გააშუქონ საქართველოს სახელოვან მოჭადრაკეთა მიღწევები ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზობებზე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 26 იანვარი.

შეხვედრები დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში

ვაგრძელებთ დიდ ბრიტანეთში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ყოფნის ამსახველი ინფორმაციის ბეჭდვას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ეწვია დიდი ბრიტანეთის მეწარმეთა კონფედერაციას, შეხვედრას უძღვებოდა კონფედერაციის პრეზიდენტი ლორდი ფერფაქსი.

ვიზიტი

თავის სიტყვაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ეს პირველი, უმაღლესი დონის ვიზიტია დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოში და მის შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ხელმოწერილია დეკლარაცია, რომელიც მყარი საფუძველი გახდება დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს შემდგომი ურთიერთობის გაფართოებისათვის.

მიღწეულია შეთანხმება თბილისსა და ლონდონში საელჩოების გახსნის შესახებ. შესაძლოა, რომ ეს მოხდება სექტემბრის თვეში.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაახასიათა საქართველოს ამჟამინდელი ვითარება. ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. აღნიშნა, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან და სავალუტო ფონდთან, ასრულებს მათ რეკომენდაციებს. იმედით შევყურებთ ევრობანკთან ურთიერთობას. ქვეყანაში ამოქმედდა ამერიკა-საქართველოს ერთობლივი „აბსოლიტ ბანკი“, „დოიჩე ბანკი“, მალე, ალბათ, საფრანგეთისა და ინგლისის ბანკებიც მოიკიდებენ ფეხს საქართველოში.

საქართველო ყოველმხრივ მდიდარი ქვეყანაა და, რაც მნიშვნელოვანია, იქ არის მაღალკვალიფიციური და იაფი მუშახელი. შეკითხვაზე, თუ რა კანონები არსებობს საქართველოში ერთობლივი ფირმების მიერ მოგების უცხოეთში გატანისათვის, სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა: მოგების უცხოეთში გატანა ახლაც თავისუფალია და მალე მიღებული კანონებით ყველაფერი დაკონკრეტდებაო.

შეხვედრაზე ლორდი ფერფაქსი განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოზე გამავალი ნავთობსადენის პრობლემით, რაზეც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: ფირმა „ბრიტიშ კუტროლიუმი“ იწყებს ნავთობის გატანას საქართველოს მეშვეობით და როგორც კი გატანილი ნავთობის რაოდენობა რამდენიმე მილიონ ტონას მიაღწევს, საქართველოში შეიქმნება სათანადო ინფრასტრუქტურები, უკვე არსებობს ბაქო-თბილისის, თბილისი-ბათუმის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისის გაზსადენი. რაც შეეხება ენერგოშემცველების დიდი რაოდენობით ტრანსპორტირებას, ერთ-ერთი გზა მაინც ვერ ასცდება საქართველოს, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

დიდი ბრიტანეთის მეწარმეთა კონფედერაციაში გამართული შეხვედრის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ეწვია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობის სამეფო ინსტიტუტს, სადაც შეკრებილი იყო შეერთებული სამეფოს პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტა. სახელმწიფოს მეთაურს მასპინძლობდა დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სერ ჯეფრი ჰაუ.

შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. იგი შეეხო მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაჭრაში დაშვებულ შეცდომებს.

თავის გამოსვლაში, ედუარდ შევარდნაძე შეეხო თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს — „ცივი ომის“ შეწყვეტის და სსრ კავშირის დაშლის შედეგებს, ცივილიზებული თანამეგობრობის მიერ ამ შედეგების შეუფასებლობას, აგრესიული სეპარატიზმის დამღუპველობას ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად მსოფლიოსათვის. გამოსვლას მხურვალე ტაშით შეხვდნენ. იგი ფართოდ გააშუქეს ბრიტანეთის პრესაში, გაავრცელეს სააგენტოებმა. ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ შევარდნაძემ გაუზიარა ყველას „მწარე ჭეშმარიტებანი“, მან ცივილიზებული მსოფლიო მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა. „ფაინენშლ ტაიმსს“ მიაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე არაორდინარული; შინაარსიანი და დაუვიწყარი გამოსვლა, რომელიც კი მოუსმენიათ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ამ საერთაშორისო ურთიერთობის სამეფო ინსტიტუტში.

გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პირადი საუბარი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანთან დუგლას ჰერდთან. საუბარმა გულთბილ და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. ჩეჩნეთის კრიზისთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ იქ განვითარებული მოვლენები რუსეთის მიერ გადადგმული არაპოპულარული, მაგრამ იძულებითი ნაბიჯია, რაც ჩეჩნეთში ხდებოდა შეიძლება გამხდარიყო რუსეთის დეზინტეგრაციისა და დაშლის სტიმულატორი, რასაც ძალზე საშიში და რთული შედეგები მოჰყვებოდა.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მკვეთრად გაუმჯობესდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. კარგი ურთიერთობა დამყარდა არა მარტო რუსეთის მთავრობასთან, არამედ რუსეთის სამხედროებთანაც.

რაც მთავარია, ჩვენ ვიცით, რომ სეპარატიზმთან თამაში არ შეიძლება. სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის პრობლემა წლეულს მოგვარდება. აფხაზურმა მხარემ ჟენევაში განაცხადა, რომ დარჩება საქართველოს შემადგენლობაში ფედერალურ საწყისებზე. ის, რაც აფხაზეთში გააკეთეს, ეთნიკური წმენდაა. ამიტომ ლტოლვილებს უძნელდებათ დაბრუნება, მოქმედებს შიშის ფაქტორი. პირველ რიგში ეს პრობლემაა მოსაგვარებელი.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების როლს ცივი ომის დასრულების საქმეში, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამ სახელმწიფოს დღესაც ძალუძს მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კაცობრიობის თავზე აღმართული მახვილის გასანეიტრალებლად. ეს მახვილი სეპარატიზმია, ხოლო აგრესიული სეპარატიზმი შესაძლოა, ბირთვულ იარაღზე საშიში გახდეს.

ხუთშაბათს საღამოს გაიმართა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

პარასკევს დილით სპეციალურმა თვითმფრინავმა კურსი ლონდონიდან ბრიუსელისკენ აიღო, სადაც დელეგაცია ორი საათის დაგვიანებით ჩავიდა ბელგიის დედაქალაქის ავიადისპეტჩერთა გაფიცვის გამო. **ედუარდ შევარდნაძე** მიიღო ევროპის კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ბატონმა **ჟაკ სანტერმა.** აბსოლუტურად ნდობით აღსავსე, საქართველოს ხელმძღვანელისა და მისი ქვეყნის პრობლემებისადმი პატივისცემით გამსჭვალულმა საუბარმა ცხადყო იმ ობიექტურ მიზეზთა სერიოზული გაგება, რომელთა შედეგადაც ჩვენი ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ევროკავშირის მხარდაჭერას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალუძს დღესვე შეუმსუბუქოს მდგომარეობა საქართველოს, არამედ ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან თანამიმდევრული თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისითაც. სხვათა შორის, ანალოგიური ატმოსფერო იყო გამეფებული ბრიტანეთის პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრის დროსაც. არავის არ უგრძნობინებია საქართველოს მეთაურისათვის, რომ ის, შესაძლოა, ერთგვარად საჩოთირო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საუბარი მიმდინარეობდა ადამიანთან, რომელიც არა მარტო წარსული დამსახურების გამო სარგებლობს ცივილიზებული სამყაროს ნდობით, არამედ როგორც საქმის კაცთან, რომლისთვისაც სრულიად ნათელია იმ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. როგორც ერთმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა თქვა, „დასავლეთისთვის შევარდნაძე სამშვიდობოს სინონიმია“. ამიტომაც არ წარმოშობილა პრობლემები, როცა საქართველოს მეთაურმა ევროკომისიას სთხოვა გადაედოთ ვალის გადახდა. ეს უბრალო ამოცანა როდია. ჩვეულებრივ ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია დაწესებულ ვადაში დაფაროს დავალიანება, მიწოდებას უწყვეტენ. ნაცვლად ამისა, საქართველომ მიიღო ნახევარი მილიონი ტონა მარცვალი, 170 ათასი ტონა ფქვილი, ათი ათასობით ტონა ცხიმეული და სხვა პროდუქტები, აგრეთვე მედიკამენტების დიდი პარტია. ევროკავშირი დათანხმდა შემდგომშიც გააგრძელოს სურსათის მოწოდება.

მიღებულია გადაწყვეტილება 10 მილიონი ეკიუს ღირებულების ჰუმანიტარულ მოწოდებათა შესახებ, საიდანაც 2 მილიონი ენერგოშემცველებზე დაიხარჯება.

„მე კმაყოფილი ვარ მოლაპარაკებებით ბრიუსელში, მათ შორის, ევროკავშირის ახალ ევროპულ დირექტორატთან, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — ჩვენ ევროკავშირში საქართველოს შესვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ზღურბლზე ვიმყოფებით, და ეს დღე შორს არ არის“. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ქვეყანა ამ საათს დაახლოებით 15 წელიწადი ელოდებოდა, თუ მეტი არა. „ჩვენ თქვენთან ვართ, წარმატებას გისურვებთ“, — ასე მიმართა ჟაკ სანტერმა გამოთხოვებისას საქართველოდან ჩასულ მაღალ სტუმარს.

ნოდარ ბროლაძე,
სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ლონდონი-თბილისი,
თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 15 აგვისტოს № 255 ბრძანებულებით შექმნილი აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მიერ გაწეულია გარკვეული მუშაობა. კერძოდ, მისი ინიციატივით მოხერხდა ბევრი ადამიანის ტყვეობიდან დახსნა, გაცვლა და განთავისუფლება, დაზუსტდა დაღუპულთა სამარხების ადგილმდებარეობა, შეიქმნა მოძიებული სამარხების რუკა. სხდომებზე რეგულარულად იხილებოდა კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

ამასთან, სამთავრობო კომისიის საქმიანობას ხელს უშლის რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

არ შესრულებულა, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 27 ნოემბრის № 15 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ და უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალური აღრიცხვისა და მათი ოჯახების წევრთათვის შეღავათების, უპირატესობებისა და დახმარების შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 18 თებერვლის № 154-18 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა, დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შეღავათების დაწესების შესახებ“.

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ა. კავსაძის ინფორმაცია აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს განიხილოს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის რეორგანიზაციის საკითხი.

3. დაევალოს სამთავრობო კომისიას:

ა) გააქტიუროს მუშაობა ქ. ჟენევაში 1994 წლის 2 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ოთხმხრივი კომისიის შექმნის შესახებ ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიებისათვის და ამ კომისიაში დაკარგულ მეომართა ახლობლების ჩართვის შესახებ;

ბ) დააჩქაროს მუშაობა დაღუპულ მეომართა სამარხების დადგენისა და მათ საფუძველზე შესაბამისი რუკების შედგენისათვის.

გ) ორგანიზაცია გაუწიოს ქალაქებსა და რაიონებში დაღუპული მეომრებისათვის ძმათა სასაფლაოს მოწყობას;

დ) საქველმოქმედო ფონდთან ერთად (ვ. დობორჯგინიძე) ორგანიზაცია გაუწიოს აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების დადგენილი საფლავებიდან გადმოსვენებას და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარებას;

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურს:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 27 ნოემბრის № 15 და რესპუბლიკის პარლამენტის 1993 წლის 18 თებერვლის № 154-18 დადგენილებების განუხრელად შესრულება და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ინფორმაცია აღნიშნულ დადგენილებათა შესრულების შესახებ;

ბ) შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები აფხაზეთის ომში მონაწილე უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრებისა და მოხალისეებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ.

5. რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ, უწყებამ, კომიტეტმა, დეპარტამენტმა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს სამთავრობო კომისიას ომში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების საქმეში.

6. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ათი დღის ვადაში წარუდგინოს აღნიშნულ კომისიას აფხაზეთში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დაზუსტებული სია.

7. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებები უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლებისა და მოხალისეების ოჯახებისადმი სოციალური დახმარებისა და შეღავათების გაძლიერების თაობაზე.

8. დაევალოთ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს და რაიონის გამგებლებს, რათა თავიანთ დაქვემდებარებულ სამსახურებს დაავალონ აფხაზეთის ომის მონაწილეთა პრობლემებზე მუშაობის კოორდინაცია.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ჰუმანიტარული დახმარების ბიუროს საბჭომ განიხილოს მის შემადგენლობაში აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლის შეყვანა.

10. დაევალოს ქალაქ თბილისის მერს ნ. ლეკიშვილს და მთავარ არქიტექტორს, ი. მასხარაშვილს თბილისში მშენებარე „წმინდა ნინოს მემორიალის“ ტერიტორიაზე გამოყონ ადგილი აფხაზეთიდან გადმოსვენებულ მეომართა ნეშტების დასასვენებლად, მოახდინონ ამ ადგილისათვის შესაბამისი პროექტის შედგენა და განახორციელონ მემორიალის აგება დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

11. აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მისთვის ავტოტრანსპორტის, საწვავის ლიმიტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყოფა.

12. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს და გადაწყვიტოს 1995 წლისათვის აღნიშნული სამთავრობო კომისიის საჭირო (მათ შორის სამივლინებო) ხარჯების დაფინანსების საკითხი.

13. საინფორმაციო სამსახურებმა მეტი ყურადღება დაუთმონ აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ოთარ ფაცაცია,

სხვა გაზეთებიდან

ცივ ომში გამარჯვებულთ ადანაშაულებენ ყოფილი აღმოსავლური ბლოკის ხედვის ნაკლებობაში

შევარდნაძე იწუნებს დასავლეთის პოლიტიკას

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა — მწვავედ გააკრიტიკა ყოფილი აღმოსავლური ბლოკის ქვეყნებისადმი დასავლური პოლიტიკა, დაადანაშაულა რა დასავლეთი ცივ ომში მოპოვებული გამარჯვების შედეგების უმიზნო გაფლანგვაში.

ჩეთემ ჰაუზში, საერთაშორისო ურთიერთობის ლონდონის სამეფო ინსტიტუტში გამოსვლისას, ბატონმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკური ხედვის ნაკლებობამ ის „უდავოდ პიროსის გამარჯვებად“ აქცია.

„გლობალური დაპირისპირების დამთავრებაზე კოლოსალური თანხები რომ დაზოგა, დასავლეთმა ვერ გაიმეტა ინვესტიციები რუსეთისა და სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდასაჭერად. იმძლავრა კონკურენტის დამარცხებით გამოწვეულმა სიხარულით გადარეულმა დახლიდარის ფსიქოლოგიამ“.

ბატონმა შევარდნაძემ დასძინა: „შედეგად მივიღეთ დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა არა მსოფლიო გამარჯვება, არამედ წვრილი ნაციონალისტური დიქტატურების თარეში, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ მცირერიცხოვანი ხალხების ეთნიკური დაჩაგრულობის კომპლექსს“.

ბატონმა შევარდნაძემ, 1986-90 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გადამწყვეტი როლი შეასრულა ცივი ომის დასრულებაში. ამჟამად კი, იგი ცდილობს გაამთლიანოს მისი მშობლიური საქართველოს დაშლილი ნაწილები.

გამოსვლა დაიწყო იმის გახსენებით, რომ ლონდონში მისი წინანდელი ვიზიტის დროს, ანტისაბჭოთა დემონსტრაციის მონაწილეებმა, რომლებსაც არ სწამდათ მისი გულწრფელობა, არ მისცეს მას საშუალება, საღამო თეატრში გაეტარებინა.

„საზოგადოებრივი აზრი დიდი შორსმჭვრეტელობით არ გამოირჩევა, მაგრამ მაშინაც გარდაქმნის პოლიტიკაში შეიძლებოდა მომავალი ეპოქალური ცვლილებების ჩანასახის დანახვა. იმ დღეს ნამდვილად დავიმსახურე ლონდონის თეატრში ბილეთი. საზოგადოებრივი აზრი ვალში დამრჩა“.

ბატონმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ დასავლური პოლიტიკის სტრატეგებმა ვერ შეძლეს ბიპოლარული მსოფლიოს დაშლის შედეგების გაგება. ცივი ომის დასასრული, რომელიც „თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით მეორე მსოფლიო ომის სადარი მოვლენა“ იყო, ვერ აღიქვეს საჭირო პასუხისმგებლობით. „ეს ყველაფერი საკმაოდ აბსტრაქტულად ჟღერს, ვიდრე შენი თვალით არ ნახავ ამას“, — ამბობს ბატონი შევარდნაძე.

მან თქვა, რომ თავისი თვალით ნახა „ერთი წლის ბავშვი, რომელიც ცოცხლად გაატყავეს“, ერთ-ერთი „გამძაფრებული აგრესიული სეპარატიზმის იმ კოშმარისა და საშინელებისაგან“, რომელიც „ჰიტლერელთა სიმხეცეს არ ჩამოუვარდება“.

„თუ თქვენ თვალწინ საუკუნის დასასრულის დიდი და პატარა ფიურერები თავიანთი ინტერესებისათვის ურცხვად და თავხედურად იყენებენ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, აწყობენ ეთნიკურ წმენდასა და დეპორტაციებს... მაშინ როგორ შეგიძლიათ თქვენ, ლიბერალებსა და დემოკრატებს, კვერი დაუკრათ მათ სისხლიან იდეებს?“

ლიბერალებმა და დემოკრატებმა, რომლებიც ჩეთემ ჰაუზში შეიკრიბნენ, მხურვალე ტაშით შეეგებნენ მას. მათ არ უპასუხიათ შევარდნაძის რიტორიკული შეკითხვისათვის.

ავტორი
ედვარდ მორტიმერი,
გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“,
17 თებერვალი.

წერილი რედაქციას

პასუხი ყველას უნდა მოეთხოვოს

გაზეთ „7 დღის“ წლევანდელ 22-26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ამავე გაზეთის კორესპონდენტის ნ. ჩიხოშვილის სტატია „ხე-ტყის მაფია, ყველა ბარიერი დამსხვრეულია! სამართალდამცავი ორგანოები წინააღმდეგობას არ უწევენ“.

წერილი, როგორც ეს ამ გაზეთის რედაქციაში განმიმარტეს, ემყარება ჟურნალისტურ გამოძიებას და ემსახურება ჭეშმარიტების დადგენას. მასში მოთხრობილია 1993 წლის 29 ოქტომბერს ადიგენის საგზაო პოლიციის ერთ-ერთ საგუშაგოზე დაჭერილი ხე-ტყით, დატვირთული 11 ავტომანქანის დაკავების ფაქტი და შემდგომში მის ირგვლივ ჩატარებული ძიების შედეგები, ამ საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრის, ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ჯ. კურტანიძის მიერ დაკავებულ პოზიციაზე.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ გაზეთის წუხილი ხე-ტყის დატაცებისა და უკანონო რეალიზაციის გამო სავსებით სამართლიანია და ყურადღების ღირსია, მაგრამ გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა და დასკვნა ბორჯომის რაიონის მისამართით ცოტა არ იყოს გაურკვეველი, ტენდენციური და ცალმხრივია. წერილის ავტორი, ეტყობა, დაინტერესებულია, რაც შეიძლება მუქ ფერებში წარმოადგინოს რაიონის როლი ამ ფაქტთან დაკავშირებით და ყველანაირად ცდილობს გაამაგროს თავისი მოსაზრება.

უსაფუძვლო ბრალდება იმით იწყება, რომ ჟურნალისტი ციტირებას უკეთებს ჩემს მიერ სახელმწიფოს მეთაურის სახელზე ამ საკითხთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებითი ბარათის შესავალ ნაწილს და მიზნობრივად, შემოკლებული სახით, დამახინჯებული და გაურკვეველი შინაარსით წარმოუდგენს მას მკითხველს. მაგალითად „ინფორმაცია მივიღე იმავე დღეს, ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარისაგან, ტელეფონით, პოლიციის უფროსმა ე. ორჯონიკიძემ განმიმარტა, რომ დაკავებული ხე-ტყე გატანილი იყო ბორჯომიდან. იგი ძიების სხვა მასალებთან ერთად კანონის მიხედვით, როგორც ნივთმტკიცება, უნდა გადასცემოდა ბორჯომის რაიონს, მაგრამ ადიგენის გამგეობის თავმჯდომარემ მ. კუბლაშვილმა ეს მათ არ დაანება“... თ. კურტანიძემ (ჩემი ძმაა) მითხრა, რომ დაკავებული ხე-ტყიდან 100 კუბურმეტრ მასალას ქარხანა ხელშეკრულების საფუძველზე უგზავნიდა ბათუმის ერთ-ერთ ფირმას ნავთობპროდუქტებზე გასაცვლელად. სინამდვილეში მოხსენებით ბარათში ეს ფაქტი განმარტებულია შემდეგნაირად — „აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მივიღე დღეს დილით ადიგენის გამგეობის თავმჯდომარისაგან სატელეფონო საუბრით. მომხდარი ფაქტის გარკვევა დავავალე რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობას. მათ ვთხოვე, რომ ასულიყვნენ ადიგენში და ადგილზე გაერკვიათ საქმის ვითარება, ხოლო თვითონ ადიგენელ კოლეგას ვთხოვე, არ გაეშვა დაკავებული ხე-ტყე.

იმ დღისთვე წავედი თბილისში პარლამენტის სხდომაზე. ბორჯომში დავბრუნდი მომხდარი ფაქტიდან ხუთი დღის შემდეგ და როცა მოვითხოვე რაიონის პოლიციაში თუ რა დაადგინეს ადიგენში დაკავებული ხე-ტყის ირგვლივ, პოლიციის უფროსმა ორჯონიკიძემ განმიმარტა, რომ ის ასული იყო ადიგენში, ჯერ პოლიციაში და შემდეგ გამგეობაში, სადაც გაირკვა, რომ დაკავებული ხე-ტყე გატანილი იყო ბორჯომის რაიონიდან. მან განმიმარტა, რომ „ხე-ტყე ძიების სხვა მასალებთან ერთად კანონის მიხედვით, როგორც ნივთმტკიცება, უნდა გადმოსცემოდა ბორჯომის რაიონს. მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ მ. კუბლაშვილმა ეს მათ არ დაანება“. ჩემი აზრით, ახსნა-განმარტებითი ბარათის ამ ნაწილში ასახული და მკითხველის წინაშე წარმოდგენილი პოზიცია სწორად განმარტავს გამგეობის მიდგომას დატაცების ფაქტთან დაკავშირებით რეაგირების საკითხს.

ვადასტურებ იმ ფაქტს, რომ ნამდვილად ავედი ადიგენში, ჩვენი რაიონის პოლიციის უფროსის თხოვნით. ჩვენი ასვლის მიზეზი იყო დაკავებული ხე-ტყის უკან დაბრუნება და ძიების ჩატარება. ამას დაადასტურებს საქართველოს პარლამენტის წევრი ა. გელაძეც, თუმცა, ეს არ მოხერხდა ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული გარკვეული მოსაზრების გამო, მაგრამ მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის შემდგომში ასე დანაშაულებრივად მიუდგებოდა საქმეს და გაატარებდა ხე-ტყეს, ძიების დასრულებამდე. ასევე დადასტურებულია, რომ მოხდა ჩემს მიერ გაცემული ცნობის გაყალბება. საერთოდ, იმ პერიოდში აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებებისათვის გათავისუფლდა ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

წერილის ავტორს ვერ დავეთანხმები იმის შეფასებაში, თითქოს სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მიეცა პოლიციის პასუხისმგებელ მუშაკთა და სხვათა უკანონო მოქმედებას. აღნიშნულ საკითხზე გამგეობამ იმსჯელა და სათანადო პრინციპული შეფასებაც მიეცა მომხდარ ფაქტს, მაგრამ კონკრეტულად პოლიციის მუშაკების დასჯა არ მოხერხდა პროკურატურიდან სათანადო წარდგინების უქონლობის გამო და საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის ძიების დამთავრებამდე გადაიდო. ჩემი აზრით, ეს ფაქტი ჟურნალისტს უნდა გამოერკვია და ისე უნდა მიეცა შეფასება.

ახლა კონკრეტულად მინდა განვმარტო № 2 ჩამომსხმელ ქარხნისათვის (დირექტორი თ. კურტანიძე) გაცემულ ხე-ტყესთან დაკავშირებით. 1993 წლის 5 ოქტომბერს რაიონის გამგეობამ სავსებით კანონიერად თავის ფონდიდან № 2 ჩამომსხმელ ქარხანას გამოუყო 300 კუბური მეტრი სამასალე ხე-ტყე, რის სანაცვლოდ მივიღეთ 6700 ლიტრი ბენზინი პურის საზიდი ავტოტრანსპორტის საჭიროებისათვის, ათი ტონა დიზელის საწვავი (უფასოდ) ქალაქის სამგზავრო ავტოტრანსპორტისათვის (ცნობისათვის: იმ პერიოდში სამი თვის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობას ძალზე შეღავათიან ფასებში ემსახურებოდა ორი ავტობუსი) და ჩვენივე შეთანხმებით ქარხანამ სათანადო ანგარიშსწორების საფუძველზე გადასცა 30 ტონა დიზელის საწვავი ხაშურის № 5 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ა. კვასაძე) ხაშური-ბორჯომი-ახალციხის გზის შესაკეთებლად, რაც შესრულდა. აღნიშნულის შესახებ არსებობს მიმოწერა, რომელიც რესპუბლიკის პროკურორს წარედგინა და, ალბათ, საქმის ობიექტურობაში დაინტერესებული ჟურნალისტი მას უნდა გასცნობოდა). აღნიშნული გაცვლითი ოპერაცია სასარგებლო იყო რაიონისათვის, ამის უფლებას იძლევა სახელმწიფოს მეთაურის მიერ დამტკიცებული დებულება რაიონული გამგეობის უფლებების შესახებ.

წერილის ავტორს ასევე არ ვეთანხმები იმ შეფასებაში, თითქოს ბორჯომის რაიონის მაშინდელ პროკურორს ბატონ ბ. მუსელიანს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების საქმეში ვინმემ შეუშალა ხელი. თითქოს ის მოერიდა გამგებელს, ვითომდა მათთან გამწვავებული ურთიერთობის გამო. განვმარტავ, რომ იმ ხანად მასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. უბრალოდ, პროკურორმა მაშინ ვერ შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა, მეტიც, ის არც დაინტერესებულა ძიებით და ადიგენში არ ჩასულა, ამის შესახებ მას რამდენჯერმე ვთხოვე, მაშინ, როცა აღნიშნული ხე-ტყე ათი დღის განმავლობაში იყო დაკავებული ადიგენის პოლიციაში.

ბ. მუსელიანის გათავისუფლება მოხდა სავსებით სწორად, რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გადაწყვეტილებით, რომელსაც საფუძვლად დაედო რესპუბლიკის გენერალური პროკურორის კომისიის მიერ რაიონში ჩატარებული შემოწმების მასალები. მე მგონი, გაზეთ „7 დღის“ კორესპონდენტი, უფრო ღრმად უნდა გასცნობოდა ამ საქმესაც და ამის საფუძველზე ობიექტური დასკვნები გაეკეთებინა. მოყვანილი ფაქტები კი ადასტურებს, რომ ჟურნალისტს ნ. ჩიხოშვილს ასეთი ძიება არ ჩაუტარებია, რაც ფრიად სამწუხაროა.

ვფიქრობ, რომ პასუხი შეიძლება უფრო ვრცელი იყოს, მაგრამ, როცა საქმის ძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მის შედეგებზე, ალბათ, ინფორმაცია კიდევ იქნება, უბრალოდ, მეტს აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს, ადამიანების, მით უმეტეს თანამდებობის პირების მისამართით: ვინც არ უნდა იყოს ეს, ჟურნალისტი თუ პროკურატურის თანამშრომელი, მათ არა აქვთ საჯაროდ, უსაფუძვლო ბრალდებების წაყენების უფლება ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. ეს ადამიანის ღირსების შელახვაა და მისი გამოსწორება შემდეგ ძნელია.

ბოლოს მინდა ამ წერილის დაწერის მთავარ მიზეზზე შევჩერდე. წერილის ავტორს მოჰყავს ცოტა უმისამართო და გაურკვეველი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ბრალდება იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფოს მეთაურის რეგიონული მართვის აპარატის თანამშრომელმა ნ. გელაშვილმა კომისიურად შეისწავლა საკითხი რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომელ ვარდიაშვილთან ერთად (არ არის აღნიშნული რომელ რაიონში) და მან ამიტომ ბორჯომის რაიონის პროკურატურიდან მოითხოვა და მიიღო ძიების მასალები. აქვე აღნიშნულია, რომ ნ. გელაშვილი ბორჯომში ჩავიდა გამოძიების მასალების რაიონის პროკურატურაში დასაბრუნებლად, აღნიშნული მასალა კი დაუტოვა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს. წერილში ნ. გელაშვილი, აგრძელებს საუბარს თითქოს „ის დაინტერესებული იყო ჭეშმარიტების დადგენით და, გამოვიდა, თითქოს მე შევუშალე ხელი. იმ პერიოდში გამგებელთან (საჭიროა დასახელდეს კონკრეტულად რომელ გამგებელთან — ადიგენი თუ ბორჯომი) ურთიერთობა არ მქონია. „მისი დანიშვნისა და მუშაობის წინააღმდეგი ვიყავი, იგი ფულს მაძლევდა, რათა გამგებლად გასულიყო, არ დავეთანხმე, და ურთიერთობაც საკმაოდ გამწვავდა ჩვენს შორის. უნდობლობას იმიტომაც მიცხადებდა“...

წერილის შინაარსის მიხედვით, ჩემი აზრით, იგულისხმება ბორჯომის რაიონის გამგებელი, თუმცა, როგორც ნ. გელაშვილთან პირად საუბარში გაირკვა, ის ადიგენს გულისხმობს. მკითხველი კი მგონი ჩემს მოსაზრებას დაეთანხმება. ამის გამო მე პირადად შეურაცხყოფილად ვთვლი თავს და მოვითხოვ ამ ფაქტს სათანადო შეფასება მისცეს როგორც სახელმწიფოს მეთაურის რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელობამ, ასევე რესპუბლიკის პროკურატურამ.

ჯუმბერ კურტანიძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი, ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე.

ინფორმაცია

„საქნავთობპროდუქტი" გაცნობებთ

დედაქალაქის მოსახლეობისათვის შეღავათიან ფასებში სარეალიზაციოდ სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა" სანათი ნავთი გამოუყო ქალაქის შემდეგ ავტოგასამართ სადგურებს:

— № 10 აგს — ავჭალის დასახლებაში, ლიბანის ქ. № 10;

— № 11 აგს — მოსკოვის პროსპექტი № 31;

— № 12 აგს — კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ;

— № 18 აგს — კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ;

— № 20 აგს — ლილოს დასახლება, ბირნახულის ქუჩა.

სანათი ნავთის რეალიზაცია დაიწყო 18 თებერვლიდან. 1 ლიტრი ნავთის გასაყიდი ფასია 220000 კუპონი.

სეპარატიზმს — სრული პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა ალმათში ამას წინათ გამართულ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი გაფორმდა. ეს გახლავთ თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და აგრესიული სეპარატიზმის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია.

— ალმათში თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებმა დაგმეს სეპარატისტთა საქმიანობა, რაც მათი თარეშის დასასრულის მომასწავებელია, — თქვა აფხაზეთიდან ლტოლვილმა მირაბ ხუციშვილმა, — ახლა უკვე რეალურად გვესახება იმედი, რომ უახლოეს პერიოდში მშობლიურ სახლ-კარს დავუბრუნდებით. აფხაზი ხალხი თვითონ გამოუტანს განაჩენს თვითმარქვია ლიდერებს, რომლებმაც ომი, შიმშილი, ძარცვა-ყაჩაღობა დაამკვიდრეს მშვიდობიანი აფხაზეთის მიწაზე. აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები, პრესა, ტელევიზია, რადიო ველარ მალავენ მაროდიორობის ფაქტებს. აფხაზური პოლიცია უძლურია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სეპარატისტთა აგრესიული ზრახვები ჩაიშალა. ქართველი და აფხაზი ხალხები კვლავ ერთად იცხოვრებენ, ერთიანი განუყოფელი საქართველოს ცის ქვეშ.

კვლავ გიწვევთ ბაკურიანი

ხანგრძლივი იძულებითი დუმილის შემდეგ კვლავ ახმაურდა ბაკურიანი. ზამთრის მზე და ქათქათა თოვლი მოენატრათ მოთხილამურეებს, ციგის მოყვარულებს. „კუკუშკა" მატარებელს მოუმრავლდნენ მგზავრები. ახლა ბაკურიანში ხალხმრავლობაა. თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა გააცოცხლეს „მიძინებული" ბაკურიანის ფერდობები.

— ბაკურიანი სპორტულ ცხოვრებას უბრუნდება, აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში სახელგანთქმულმა ტრამპლინიდან მხტომელმა, „მფრინავ ტორპედოდ" „აღიარებულმა" კობა წაქაძემ. — გვახარებს ახალგაზრდების სიმრავლე. დავიწყეთ სპორტული ბაზების, საბაგირო გზის, ტრამპლინების აღდგენა, თუმცა ამ საქმეს მარტო ადგილობრივი ძალებით ვერ მოვაგვარებთ. აღდგენით სამუშაოებს უნარიანად ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი მოთხილამურე ელგუჯა ორჯონიკიძე. ბაკურიანი მარტო ბაკურიანელებს როდი ეკუთვნის. ჩვენ მთელი რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების თანადგომის იმედი გვაქვს!

გთავაზობთ!
ხაწერ, ხაბეჭდ, ქსეროქსის, პრინტერის, და ხარედაქციო პერგამენტის
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება როგორც ნაღდზე, ასევე გადარიცხვით
☎ 98-87-40

ქართული პოეზია
I
თბილისი – 1994

ახალი წიგნი

ქართული პოეზიის შედევრები

შედევრი! — ეს სიტყვა ქართველ მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, პოეტურ ქმნილებას ახსენებს. ქართველი ხალხის გენი და გენია ყველაზე მძლავრად პოეზიაში გამოვლინდა და ამიტომაც ეძახიან საქართველოს პოეტების ქვეყანას. მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლირიკური ანთოლოგია გაგვაჩნია. ეს ანთოლოგია მრავალგზის გამოცემულა მეტნაკლები სისრულით. მის ფურცლებზე მარგალიტებივით ბრწყინავენ შედევრები — ლექსები, ბალადები, პოემები, ამჟერად რჩეულთა შორის რჩეულები ამოვკრიბეთ და მკითხველს ვთავაზობთ ქართული პოეზიის შედევრების ერთტომეულს. როდესაც წიგნის შედგენა განვიზრახეთ, არჩევანი მურმან ლებანიძეზე შევაჩერეთ. ჩვენი ბრწყინვალე პოეტი საგამომცემლო და სახტამბო საქმის შესანიშნავი ოსტატიც გახლავთ.

დღევანდელ პირობებში მეტისმეტად გაძნელდა სრულყოფილი წიგნის დაბეჭდვა და აკინძვა. მიუხედავად ამისა, გამომცემლობისა და მესტამბეების დიდი მონდომებითა და გულისხმიერებით მოვამზადეთ ძვირფასი საჩუქარი. წიგნი შესანიშნავად გააფორმა ცნობილმა ქართველმა გრაფიკოსმა გოგი წერეთელმა.

შეიძინეთ „შედევრები!" უსახსოვრეთ იგი თქვენს ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, მზითვად გაატანეთ ქალიშვილებს, გაუგზავნეთ უცხოელ თანამემამულეებს, გაუზიარეთ მათ ქართული პოეზიის სიბრძნე და სილამაზე. უკეთეს საჩუქარს ვერ იპოვნით!

საგანგებოდ გვინდა მივმართოთ სამეგრელოს რაიონების გამგებლებს. აფხაზეთის ომისა და სამოქალაქო ბრძოლების მიზეზით ამ რაიონებში ქართული წიგნი არ ხვდებოდა. გამომცემლობა „საქართველოს", გარდა „შედევრებისა", ნაგულისხმევი რაიონებისათვის შენახული აქვს ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის კომპლექტები, ალ. ყაზბეგის ორტომეული, გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეულის პირველი სამი ტომი, აგრეთვე თანამედროვე ქართველი მწერლების ცალკეული გამოცემები.

იგივე წიგნები შეგვიძლია შევთავაზოთ მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რაიონებს, რომელთაც უკანასკნელ წლებში ჩვენთან აღარ აქვთ კონტაქტი.

ვთხოვთ გამგებლებს, წარმოგზავნონ ჩვენთან წიგნის ვაჭრობით დაინტერესებული პირები.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მარჯანიშვილის 5, ტელ.: 95-42-01, 95-25-27.

ჯანსუღ ღვინჯილია,
ვახტანგ ჯავახაძე.

ტყეს ვერ ვუტოვებთ შვილებსა?!

„თურმე ნანატრი გაზაფხული მოგვიჭრეს ძირში!"

ენერგეტიკულმა კრიზისმა ჩვენში მწვანე ნარგავების საშინელი, უმოწყალო განადგურება გამოიწვია.

ეკოლოგიური პოლიციის ეროვნული ბიუროს ოფიციალური მონაცემებით, 1994 წელს გამოვლენილია მწვანე ნარგავების მოსპობის 2818 ფაქტი, აღძრულია სისხლის სამართლის 850 საქმე, გამოვლენილია უკანონოდ დამზადებული 2000 კუბური მეტრი ხე-ტყე, რომლის საბაზრო ღირებულება 200 მილიონი რუბლია, ამოღებულია 700 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 800 კუბური მეტრი შეშა... .

იბადება კითხვა: ეს პრობლემა მხოლოდ ენერგეტიკული კრიზისით არის გამოწვეული თუ მისი ფესვები სხვაგანაც უნდა ვეძებოთ?

რეფორმატორთა კავშირის ეკოლოგიურმა კომისიამ, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის რეალური გზების დასახვის მიზნით, კონკრეტული წინადადებებისათვის მიმართა დარგის ცნობილ სპეციალისტებს: საქართველოს პარლამენტის წევრს, პროფესორ გ. გაჩეჩილაძეს, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გ. გიგაურს, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ლ. გვაზავას, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ რ. ჩაგელიშვილს, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მ. დვალს, ქალაქ თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ზ. თავართქილაძეს, ეკოლოგიური პოლიციის ეროვნული ბიუროს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ ო. ფოფხაძეს.

სპეციალისტებისა და მეცნიერების წინადადებების შეჯერებით დადგინდა, რომ დასმული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია:

ხე-ტყის რეალური ფასის დადგენა და ამ ფასის შესაბამისად სოლიდური ჯარიმის დაწესება. დღევანდელი ჯარიმა — 1 კუბომეტრზე 5 მილიონი კუპონი მხოლოდ სიმბოლურია, ხე-ტყის რეალური ფასი შავ ბაზარზე საგრძნობლად მეტია.

უნდა გაძლიერდეს საბაჟოს სამსახური. სამწუხაროდ, ასობით და ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე შეუფერხებლად გაედინება საზღვრებს გარეთ და სახელმწიფო საბაჟო სამსახური ამას „ვერ ამჩნევს".

ტყეები და სხვადასხვა ნარგავები ერთი უწყების დაქვემდებარებაში უნდა შევიდეს. დღეს ყველა ხეს, ბუჩქს თავისი „პატრონი" ჰყავს, პასუხისმგებელი კი არავინ არის.

აუცილებლად უნდა გადაიჭრას ენერგეტიკული პრობლემა ნაწილობრივ მაინც...

რა პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ ხალხს, რომელთაც არც სინათლე აქვს, არც გაზი და საერთოდ ელემენტარული საარსებო პირობები არ გააჩნია. საქართველოს ტყეებში უხვად არის ამორტიზებული ხეები, მაგრამ არ ტარდება სათანადო მოვლითი ჭრა, ქალაქებში ხეების გეგმაზომიერი გადაბელვა. აუცილებელია დადგინდეს მათი რეალური საბაზრო ფასი და მოსახლეობას მინიმუმი მაინც მიეწოდოს. აგრეთვე, უნდა შემუშავდეს საგანგებო პროგრამა სოციალურად დაუცველთათვის და ფასდაკლებით ან ჰუმანიტარული დახმარების სახით შეშა მიეწოდოთ.

აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ეკოლოგიური პროპაგანდა. საქართველოში ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად, თითქოს ჩაკვდა ბუნების სიყვარული. უმოწყალოდ ვჩეხავთ და ვანადგურებთ ჩვენს საარსებო გარემოს.

სპეციალისტთა აზრით, აუცილებელია საკანონმდებლო აქტების მიღება. პარლამენტმა უნდა დააჩქაროს საკანონმდებლო აქტების დამტკიცება, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები უნდა შეუდგნენ მათ შესრულებას.

საქართველოს სამოთხე-ბუნების გაპარტახებას მომავალი არ გვაპატიებს.

სანდრო ურუშაძე,
საქართველოს რეფორმატორთა კავშირის ეკოლოგიური კომისიის წევრი.

სპარტაკ ქობულია.

ნუშის დატირება

წუხელ ნაჯახთა ჩახაჩუხი ჩამესმა ძილში,
უცებ წამოვდექ,
გულზე თითქოს ფინთიხი მეცა,
თურმე ნანატრი გაზაფხული მომიჭრეს ძირში,
კვლავ დეკემბრულად შემაცივნა
მირკანის ზეცამ.

ვაიმე ნუშო,
ხალუმელედ როგორ გაგწირეს,
მალე თეთრ კაბად იფეთქებდი შუაღამეში,
ეზოს სიღრმიდან შემცინებდი გულის ნაწილად,
აწ ზამთარს როგორ მოვერიო
მე შენს გარეშე?!

გაუორგულდნენ დედაქალაქს თბილისელები,
ცეცხლი შეუნთეს დამბუგველი
მის მწვანე ფილტვებს...
ვწევარ, დალუპულ ძმაკაცივით, ნუშო, გიხსენებ
და თავი თითქოს შენს დაფერფლილ
ლადარზე მიდევს.

ნოდარ შამანაძე.

ეს ჩვენი საქართველოა!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

აი, რა „გულმოდგინედ" სრულდება სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება!..

საშველი რომ არ დადგა საქტელერადიოს კორპორაციისა და გამომცემლობა „სამშობლოს" შენობების ნორმალურ ელექტრომომარაგებას, ამ ცოტა ხნის წინათ, სახელმწიფოს მეთაურმა სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა — „საქართველოს სახელმწიფოს საგამომცემლო-საინფორმაციო კორპორაციისა და სახელმწიფო კორპორაცია „საქტელერადიოს" ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ", („საქართველოს რესპუბლიკა", 28 იანვარი, 1995 წ.), რომელშიც იგი ავალდებულებდა თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს (ვ. მეტრეველი), საქენერგოს (გ. გამყრელიძე), საწარმოო გაერთიანება თელასს (ა. გაბრიჭიძე) განსაკუთრებულ კონტროლზე აეყვანათ ეს საკითხი.

ამ განკარგულების შემდეგ, თითქოს სპეციალურად კეთდებაო, გამომცემლობა „სამშობლოში" მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა (რამდენადაც ვიცით, არც ტელევიზიას ადგას კარგი დღე).

სწორედ უელექტრობის გამო, უკვე შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" (და ყველა გაზეთი, რომელიც „სამშობლოს" შენობაში მზადდება), ამ სამშაბათის ნომერსაც ორი დღის დაგვიანებით, უკვე როგორც ხუთშაბათის ნომერს, ღებულობს მკითხველი, „საქენერგოსა" და „თელასის" ყოველდღიურ ცრუ დაპირებებს კი ბოლო არ უჩანს...

რედაქციაში ერთმა იხუმრა კიდეც — მაგათი ზღვა ცრუ დაპირებები ელექტროენერგიად რომ იქცეს, ალბათ, ისეთი ოდენობის ძალა ექნება, მთელი საქართველო გაჩახჩახდებაო...

თუმცა, რა გვეხუმრება — ყოველგვარი მოთმინების ფიალა აივსო!.

გვი-შვე-ლეთ!..

ნეკროლოგი

გენადი მაქაცარია

გარდაიცვალა განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გენადი ვალერიანის ძე მაქაცარია.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი სპეციალისტი, ერუდირებული პიროვნება, თვალსაჩინო მეცნიერი და პრაქტიკოსი.

გამოჩენილი დასტაქრის ოჯახში აღზრდილმა, შრომითი საქმიანობა ბათუმში დაიწყო. იგი სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობა მოუხდა, სარგებლობდა საქმის მცოდნე, პრინციპული და პატიოსანი ადამიანის რეპუტაციით.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო გ. მაქაცარიამ საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემას. მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობისას იგი უაღრესი კომპეტენტურობითა და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. წლების განმავლობაში უნარიანად უძღვებოდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მართვას და ამ დროს ავლენდა ისეთ ადამიანურ თვისებებს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მრავალათასიან კოლექტივებთან ურთიერთობა.

აღარ არის ბატონი გენადი, ღირსეული ადამიანი და სასიქადულო მოქალაქე. ოჯახმა მისი სახით დაკარგა მოსიყვარულე მამა და მეუღლე, ხოლო საზოგადოებრიობამ — თვალსაჩინო წევრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი;
საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

აკადემიკოს ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. ქუთაისის მთავარი მეან-გინეკოლოგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დოდო შელიას მამა
პეტრე შელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრის
ივანე ნიკოლოზის ძე ქრისტესიაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წინ

ინტერვიუ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტთან ვაჟა შუბლაძესთან

1 **მარტს**, სანქტ-პეტერბურგში დაიწყება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ჟუჟა პოლგარს შორის. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელთან, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ **ვაჟა შუბლაძესთან** საუბრიდან ქართველი გულშემატკივრები, ვფიქრობთ, ამ ორთაბრძოლასთან დაკავშირებულ ბევრ საგულისხმო დეტალს შეიტყობენ.

— მაიასა და ჟუჟას მომავალი დუელი წლევანდელი წლის ქართული სპორტის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. პირდაპირ ვაცხადებ — ეს არის უმაღლესი წოდების საქართველოში დაბრუნების ბოლო შესაძლებლობა. მის განხორციელებას მაიას ჭადრაკში დაბრუნების წელიწადნახევრიანი ციკლი მოხმარდა (ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ამჟამად ფაქტობრივად პრეტენდენტთა გადამწყვეტი შეხვედრით ცხოვრობს — რედ.).

— როდის მიემგზავრებით ნევისპირა ქალაქში, სად გაიმართება პაექრობა და რაიმე ცვლილება ხომ არ არის ახლახან გამოქვეყნებულ რეგლამენტში?

— საქართველოს დელეგაცია 23 თებერვალს მიფრინავს პირდაპირი ავიარეისით თბილისი-სანქტ-პეტერბურგი. მატჩი სასტუმრო „პულკოვოს" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება. იქვე იცხოვრებენ მონაწილენი და მათი „გუნდები". მკითხველთათვის უკვე ცნობილ რეგლამენტში ბოლო მომენტში ერთადერთი ცვლილება მოხდა — იმ შემთხვევაში, თუ ათი ძირითადი და ორ-ორი წყვილი დამატებითი პარტია ყაიმით დასრულდა (7:7), მეტოქენი დასკვნით ბლიცპარტიებს 5-წუთიანი რეგლამენტით იმავე დღეს გაითამაშებენ.

— გაგვაცანით მსოფლიოს ექსჩემპიონის „შტაბი".

— სიამოვნებით. უკვე ორი წელიწადია მისი მწვრთნელია საერთაშორისო დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ გარი კასპაროვის მწვრთნელის ზურაბ აზმაიფარაშვილის ჩართვას მაიას გუნდში, იგი დღეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის სეკუნდანტია და ვთვლით, რომ მისი მდიდარი გამოცდილება საგრძნობ დახმარებას გაგვიწევს. ეს ფაქტი დღემდე უცნობია პოლგარისათვის და ამ სიახლის გაგება, ჩვენი აზრით, პირველი ფსიქოლოგიური დარტყმა იქნება მისთვის. სხვათა შორის, ამის შესახებ პრესაში ჯერ არ დაწერილა და ეს ექსკლუზიური უფლება თქვენს გაზეთს ხვდა წილად. მატჩის მსვლელობისას სეკუნდანტს, ზურაბ აზმაიფარაშვილს, შეუძლია სააპელაციო ჟიურში წარმოადგინოს მაიას ინტერესები, რაც ასევე სიახლეა. წარმატების შემთხვევაში ჩიბურდანიძე-აზმაიფარაშვილის დუეტი მსოფლიო ჩემპიონ სე ჯუნთან გადამწყვეტი შეხვედრისათვის მზადების პერიოდშიც განაგრძობს თანამშრომლობას. ჩვენი დელეგაციის კიდევ ერთი წევრი, მაიას დედა ქალბატონი ნელი ხურციძე ტრადიციულად მწვრთნელ-ფსიქოლოგის როლს შეასრულებს.

დასასრულ, ქართველ გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ დელეგაციის თითოეული წევრის სურვილია რეალობად აქციოს ოცნება და შინ პირნათელი დავბრუნდეთ.

ესაუბრა
გია პლატონიშვილი.

დაყოვნება არ ეგების

თვალსაზრისი

ცნობილია, რომ მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მითითებით მედიცინა ყველა ქვეყანაში უნდა ვითარდებოდეს ორი ძირითადი მიმართულებით: პროფილაქტიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სახით. სხვა შემთხვევაში მოსახლეობის მასობრივი გაჯანმრთელება და ავადმყოფისათვის ჯანმრთელობისა და შრომის უნარის აღდგენა გაძნელდება.

სადღეისოდ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება აღდგენით მკურნალობასთან ანუ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დროულად და სწორად წარმართვას ყველა პროფილის ავადმყოფის მიმართ, რომ მკურნალობის შედეგად ამაღლდეს ეკონომიკური ეფექტი, რაც თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვლება.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ადრეც და მით უმეტეს დღეს ავადმყოფთა და ინვალიდების რეაბილიტაციის პრობლემები არასათანადოდ განიხილება და წყდება, რაც ჩვენი მოსახლეობის შრომის უნარის დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ავადმყოფებისა და ინვალიდების რეაბილიტაცია გულისხმობს: სამედიცინო, შრომითს (პროფესიულ) და სოციალურ ეკონომიკურ რეაბილიტაციას. ყველა ეს ასპექტი ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირშია, განსაკუთრებით კი ინვალიდების ჯანმრთელობის რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რომელთა გამოჯანმრთელების საქმეში მხოლოდ მედიკოსები უნდა მონაწილეობდნენ.

თანამედროვე სამედიცინო რეაბილიტაცია გულისხმობს ე. წ. მედიკამენტური და ქირურგიული, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებას, რაც ჩვენში ბევრ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში არასათანადო დონეზეა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი მედიკოსების უმეტესობა მუშაობს ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს პერიოდის ფორმულით — ავადმყოფი და მკურნალობა. სინამდვილეში უნდა იყოს ავადმყოფი, მკურნალობა და რეაბილიტაცია, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რეაბილიტაცია განაპირობებს გამოჯანმრთელებას, შრომის უნარის დაბრუნებას, მის ამაღლებას და, ბოლოს, სიცოცხლის გახანგრძლივებას, რის საფუძველზეც დადებითად გადაწყდება ადამიანთა ყველა სოციალურ-ეკონომიკური საკითხი.

სამწუხაროდ, ყოფილ საბჭოთა მედიცინის პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ძირითადად დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში (საავადმყოფოებში) ავადმყოფი სტაციონარში არ მომკვდარიყო, ვინაიდან აღნიშნულის მიხედვით ხდებოდა მათი მუშაობის შეფასება. ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გაეწერათ ავადმყოფი სტაციონარიდან, ხოლო მისი შემდგომი ბედი ამ დაწესებულებებს ნაკლებად აინტერესებდათ. ამ დროს კი, ყველა ტიპის ავადმყოფი, რომელიც სტაციონარულად და პოლიკლინიკურად გადის მკურნალობას, მწვავე (მძიმე) მდგომარეობიდან (ოპერაციის შემდგომ პერიოდში) გამოსვლის შემდეგ საჭიროების მიხედვით უნდა გადიოდეს კომპლექსურად — ეტაპურ აღდგენით მკურნალობას, რაც, რა დასამალია და, მცირე გამონაკლისის გარდა არ ხდება. ჩვენი მედიკოსების უმეტესობა ისეა მომზადებული, რომ ავადმყოფის აღდგენით მკურნალობას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ზოგჯერ (განცვიფრებამდე მიდიხარ იმის გამო, რომ ავადმყოფი, სანამ რომელიმე განათლებული ექიმის (ძირითადად სწავლულის) ხელში არ მოხვდება, მას აღდგენით მკურნალობას არავინ უნიშნავს, მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობა კი ხშირად ხანგრძლივად მიმდინარეობს, რასაც მრავალი გართულება მოსდევს.

ამერიკელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ექიმები თავიანთი მუშაობის 30 პროცენტს მკურნალობაში ახალი პრეპარატების გამოყენების საქმეს ანდომებენ, ხოლო მთელი საქმიანობის 70 პროცენტს ამ პრეპარატების უარყოფითი მოქმედების შედეგად ავადმყოფების მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას ახმარენ. ამის შეიძლება ზოგიერთი მედიკოსი არ დაეთანხმოს, მაგრამ ამერიკელ მედიკოსებს დაეჯერებათ, მათ ახალი პრეპარატების გამოცდისა და მათი მკურნალობაში დანერგვის უფრო დიდი გამოცდილება აქვთ, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მომუშავე ექიმებს. აღნიშნულიდან ჩანს, რომ მკურნალობა ყველა შემთხვევაში დაკავშირებული უნდა იყოს რეაბილიტაციასთან, რომლის პროცესში ავადმყოფებს სწორად უნდა უტარდებოდეთ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდებით აღდგენითი თერაპია, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა, ან საერთოდ გამორიცხავდა მედიკამენტებით გამოწვეულ ორგანიზმის ინტოქსიკაციას.

უნდა შეიქმნას რეაბილიტაციის სამსახური

იმის თქმა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არაფერი კეთდება რეაბილიტაციის სამსახურის განვითარების თვალსაზრისით, არ იქნებოდა სწორი. მთელ რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ავადმყოფების ფიზიკურ რეაბილიტაციას სათანადო ყურადღება ეთმობა, მაგრამ გულახდილი თუ ვიქნებით, იგი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მაინც არ ეწყობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც მთელი რიგი ობიექტური და, განსაკუთრებით სუბიექტური, მიზეზების გამო რამდენიმე წლით დაიხურა. ამჟამად იგი კვლავ ამუშავდა, მანამდე კი ნათლად გამოვლინდა თუ დროებით მისი ფუნქციონირების შეწყვეტამ რა დიდი ზიანი მიაყენა ბავშვთა მკურნალობის საქმეს, სამაგალითო ცენტრის კადრების მაღალი კვალიფიციურობა, მათი მუშაობა. სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით ბევრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმრავლეს კლინიკურ განყოფილებაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღდგენითი მკურნალობისათვის საჭიროა ავადმყოფის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის უფრო ღრმად შესწავლა, ვიდრე ჩვეულებრივ ამას ადგილი აქვს კლინიკასა და პოლიკლინიკაში. იგულისხმება ავადმყოფის ორგანიზმის ადაპტაციის უნარის დადგენა ფიზიკური დატვირთვის (კუნთური მუშაობის) დროს, რაც სხვადასხვა ტესტებისა და თანამედროვე აპარატურის გამოყენებით ხორციელდება.

იმისათვის კი, რომ ავადმყოფთა რეაბილიტაციური სამსახური აღორძინდეს და სათანადო სახე მიიღოს, უწინარესად უნდა შეიქმნას რესპუბლიკური რეაბილიტაციური ცენტრი ისეთი სამკურნალო-პროფილაქტიკური, ერთი ან ორი დაწესებულების ბაზაზე, სადაც მაღალ დონეზე მიმდინარეობს ავადმყოფების ფიზიკური რეაბილიტაცია (სამკურნალო ფიზკულტურის, ფიზიოთერაპიის, ბალნეოთერაპიის, მანუალური თერაპიის, ჩინური ნემსებით მკურნალობის, ლოგოპედების მუშაობა და სხვა მეთოდებით). ამ დროს ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ კომპლექსური რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარების დროს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდეს სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდებს (სამკურნალო ვარჯიშებს, მასაჟს, ვარჯიშს ტრენაჟორებზე — მექანოთერაპიას, დაჰიმვებს და სხვ.), ვინაიდან მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მითითების თანახმად რეაბილიტაციის ძირითად საშუალებად სამკურნალო ფიზკულტურაა მიჩნეული. რეაბილიტაციის საქმეში არავითარი მეთოდური მუშაობა არ ტარდება და არც სათანადო მეთოდური წერილები და ინსტრუქციები იქმნება. წარსულში ყველაფერი ეს ცენტრიდან (მოსკოვიდან) მოდიოდა, დღეს კი ყოველივე ეს ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ. ამისათვის აუცილებელია, თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე, საჭირო ორგანიზაციის შექმნა.

ალბათ დროა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დააწესოს ექიმი-რეაბილიტოლოგის სპეციალობა, როგორც ეს წამყვან ქვეყნებშია. ექიმი რეაბილიტოლოგი ერთნაირად უნდა იყოს გარკვეული მკურნალობის ზემოაღნიშნულ მეთოდებში, დღეს კი ჩინური ნემსებით მკურნალობის (ჟენჯიუთერაპია) სპეციალისტი თითქმის არ არის გარკვეული სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდში, მაშინ, როდესაც ოსტეოქონდროზით გამოწვეული რადიკულიტის ეფექტიან მკურნალობაში ჩინური ნემსების გარდა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამკურნალო ფიზკულტურა, რაც მეტწილად არ ხდება. ზოგიერთი პათოლოგიის დროს ავადმყოფის რეაბილიტაცია საკმაოდ დიდხანს გრძელდება, ხოლო რიგ შემთხვევაში ავადმყოფი რეაბილიტაციურ მკურნალობას საჭიროებს სიცოცხლის განმავლობაში. ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ ბევრმა ექიმმა ეს არ იცის. ასე მაგალითად, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის (ჰემიპლეგიის, ჰემიპარეზის) დროს ავადმყოფის ფიზიკური რეაბილიტაცია შეუწყვეტლივ 120-200 დღე უნდა გრძელდებოდეს. ჩვენში კი ამ დაავადებას ორმოც დღეს თუ მკურნალობენ, რის შემდეგ ავადმყოფს ურჩევენ დასვენებას, რაც არასწორია, ასევე ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება ბავშვთა ცერებრალურ დამბლას, მაგრამ სამწუხაროდ ხშირად ასე არ ხდება.

საჭიროა, ექიმი-რეაბილიტოლოგის ახალი სპეციალობის დანერგვა აუცილებელია, უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში სწავლება რეაბილიტაციაში თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე უნდა მიმდინარეობდეს.

მართალია საქართველოში ამჟამად მძიმე ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ რეაბილიტაციური სამსახურის განვითარების არსებულ დონეზე დატოვება, შეცდომა იქნებოდა. ამიტომ მის ორგანიზაციის საქმეს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

რომანოზ სვანიშვილი,
პროფესორი;

თენგიზ ჟორჟოლაძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქირავდება!

დიღმის მასივის მესამე კვარტალის მეორე კორპუსში, სხვადასხვა კომერციული საქმიანობისათვის ქირავდება პირველ სართულზე მდებარე 110 კვ. მეტრის სადარბაზო. კორპუსი დგას პრესტიჟულ ადგილას — მეგობრობის პროსპექტზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვაკითხეთ კორპუსში, ან დაგვირეკეთ: 51-64-25, 99-66-10.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 22 თებერვლიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	966, 551. 56	კუპონი
ავსტრიული შილინგი	120, 890. 65	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2, 022, 279. 38	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	413, 552. 76	კუპონი
გერმანული მარკა	850, 786. 09	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	759, 078. 42	კუპონი
დანიური კრონი	216, 142. 93	კუპონი
100 იტალიური ლირა	80, 494. 00	კუპონი
კანადური დოლარი	930, 566. 19	კუპონი
ნორვეგიული კრონი	194, 364. 03	კუპონი
აშშ დოლარი	1, 300, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	275, 512. 71	კუპონი
ფრანგული ფრანკი	245, 918. 23	კუპონი
შვედური კრონი	174, 168. 82	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	1, 005, 648. 20	კუპონი
10 იაპონური იენი	131, 552. 52	კუპონი
ეკიუ	1, 604, 851. 56	კუპონი
10 ესპანური პესეტა	98, 843. 65	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	54, 416. 07	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2, 008, 369. 06	კუპონი
ისლანდიური კრონი	19, 319. 18	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 349, 279. 38	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	7, 924. 70	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	82, 529. 74	კუპონი
სინგაპურული დოლარი	895, 316. 55	კუპონი
10 თურქული ლირა	317. 99	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	383, 197. 60	კუპონი
რუსული რუბლი	302. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	314, 835. 00	კუპონი
ლატვიური ლატი	2, 281, 413. 70	კუპონი
ესტონური კრონი	103, 021. 26	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	999. 62	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	20, 656. 80	კუპონი
მოლდავეთის ლეი	289, 303. 92	კუპონი
ყირგიზეთის სომი	116, 605. 22	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	1, 078. 14	კუპონი
უზბეკეთის სუმი	50, 373. 60	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	302. 00	კუპონი
სომხური დრამი	3, 035. 10	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

ინდექსი 60434